

კვლევითი ნაშრომი

ივნისი 2021

#15

ულტრანაციონალისტური ჯგუფების მედია გაშუქება საქართველოში: დისკურსის სტრუქტურის შეფასება

ნინო აბზიანიძე



საქართველოს პოლიტიკის
ინსტიტუტი



ავტორის შესახებ

ნინო აბზიანიძეს მიღებული აქვს დოქტორის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებებში ციურიხის უნივერსიტეტიდან შვეიცარიაში. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა დანიაში, კოპენჰაგენის უნივერსიტეტისა და უნგრეთში, ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტებში პოსტსადოქტორო მკვლევარად. ის ასევე მუშაობდა მკვლევარად გაერთიანებულ სამეფოში ლიდსის უნივერსიტეტის მედიისა და კომუნიკაციების სკოლაში. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს პოლიტიკურ კომუნიკაციას ეთნიკურად დაყოფილ საზოგადოებებში, მედიის კვლევას დემოკრატიზაციის, ნაციონალიზმისა და სამოქალაქო კონფლიქტების კონტექსტში. ნინო დაინტერესებულია პოლიტიკური მეთოდოლოგიითაც. ამჟამად, ნინო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის კომუნიკაციების კოორდინატორია.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია გამოცემულია ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არ არიან პასუხისმგებელნი მასალის შინაარსზე.

© Georgian Institute of Politics, 2021
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge



საქართველოს პოლიტიკის
ინსტიტუტი



სარჩევი

მოკლე შინაარსი	4
შესავალი	5
კონცეპტუალური გააზრება	8
კვლევის დიზაინი	16
შედეგები: ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობებისა და მათი დისკურსის გაშუქება მეინსტრიმული სატელევიზიო მედიაში	19
რამდენად არის წარმოდგენილი ულტრანაციონალისტური ჯგუფების დისკურსი პრაიმ ტიაშის ახალი ამბების პროგრამებში?	21
ვინ განსაზღვრავს დისკურსის ტონს?	29
დასკვნა	33
ბიბლიოგრაფია	36
დანართი	38

ცხრილები და სურათები

ცხრილი 1. ანალიზში გამოყენებული ულტრანაცონალისტური დისკურსის თემატური კატეგორიები	12
ცხრილი 2. საინფორმაციო გამოშვებებში მოვლენის შესახებ სიუჟეტის რაოდენობის, სიუჟეტის ხანგრძლივობის, კოდირებული განცხადებების რაოდენობის, ულტრანაცონალისტური ჯგუფებისთვის გამოყოფილი წუთების რაოდენობის და სხვა აქტორებისთვის გამოყოფილი წუთების რაოდენობის განაწილება სხვადასხვა მედია საშუალებებს შორის	21
სურათი 1. ულტრანაცონალური დისკურსის სტრუქტურის კონცეპტუალური ჩარჩო	11
სურათი 2. ულტრანაცონალისტური ჯგუფების მედია გაშუქების თემატური დისკურსის ქსელი	23
სურათი 3. ულტრანაცონალისტური ჯგუფების მედია გაშუქების თემატური დისკურსის ქსელი მედია საშუალებების მიხედვით	25
სურათი 4. თემატური კატეგორიები კონტექსტში	27
სურათი 5. აქტორების განლაგება თემატური კატეგორიების გარშემო	28
სურათი 6. აქტორთა ცენტრალურობა დისკურსში ულტრანაცონალისტური ჯგუფების მედია გაშუქების დროს	29
სურათი 7. აქტორთა ცენტრალურობა დისკურსში ულტრანაცონალისტური ჯგუფების მედია გაშუქების დროს	29
სურათი 8. აქტორთა ცენტრალურობა დისკურსში ულტრანაცონალისტური ჯგუფების მედია გაშუქების დროს მედია საშუალებების მიხედვით	32

წარმოდგენილი ნაშრომი ანალიზებს საქართველოში ულტრანაციონალისტური ჯგუფების მედია გაშუქებას და მათ დისკურსს სამი მეინსტრიმული ტელეარხის: რუსთავი 2-ის, იმედისა და საზოგადოებრივი მაუწყებელი - საქართველოს პირველი არხის ეთერში. ნაშრომში განხილულია ის, თუ რამდენად გაჯერებულია მედია დისკურსი საქართველოში ულტრანაციონალისტური ნარატივებით, რამდენად უთმობს მედია სივრცეს ულტრანაციონალიზმის კონტრ-არგუმენტებს და ვინ არიან ის აქტორები, რომლებიც ამ საკითხების გარშემო დისკურსიულ დღის წესრიგს ქმნიან. ანალიზი ეფუძნება ულტრანაციონალისტურ ჯგუფებთან დაკავშირებული ოთხი შემთხვევის მედია გაშუქებას 2018-2019 წლებში, რომლებმაც განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია. ეს შემთხვევებია ე.წ. რეივ რევილუცია, თბილისი პრაიდი, ღირსების მარში და ფილმის "და ჩვენ ვიცეკვით" პრემიერა. პირველადი მონაცემები შეგროვდა აღნიშნული სამი არხის პრაიმ ტაიმის ახალი ამბების პროგრამების რაოდენობრივი კონტენტ ანალიზის საშუალებით. ნაშრომი იყენებს სოციალური ქსელის ანალიზს მედია დისკურსის თემატური და აქტორების სტრუქტურის სიღმისეულად შესასწავლად. აღნიშნული მეთოდის საშუალებით ხდება მედია დისკურსში წარმოდგენილი ძირითადი თემატური კატეგორიების იდენტიფიცირება და კავშირების დადგენა ამ კატეგორიებსა და დისკურსში მონაწილე აქტორებს შორის. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში მეინსტრიმული სატელევიზიო სივრცე არ არის გაჯერებული ულტრანაციონალისტური ჯგუფების ნარატივებით. არ არის წარმოდგენილი ულტრანაციონალიზმის საწინააღმდეგო დისკურსიც. მნიშვნელოვანი საკითხების ნაცვლად, დისკურსში დომინირებს ნეგატიური მესიჯები (შეურაცხმყოფელი ენა), მოწინააღმდეგე ჯგუფების დადანაშაულება და საუბარი ძალადობაზე. ულტრანაციონალისტური ჯგუფები დომინირებენ დისკურსს განცხადებების რაოდენობის კუთხით და ჟურნალისტებთან ერთად, დისკურსიული დღის წესრიგის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, მისი ნეგატიური მიმართებებითა და ძალადობაზე საუბრით გაჯერების სახით.

ბოლო რამდენიმე წელია, არც თუ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ქართულ ტელევიზორულ ტილისის ცენტრში ორი ერთდროულად მიმდინარე აქციის ნახვა, რა დროსაც შუაში მდგარი პოლიცია შესაძლო ძალადობის შეჩერებას, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები დაძაბულობის განცხადებებით განმუხტვას ცდილობენ. ადგილზე დიდი რაოდენობით ჟურნალისტების ყოფნის ფონზე, მოვლენები პირდაპირ ეთერში გადაიციმა და მთავარი ახალი ამბების პრაიმ ტაიმის ბადეში ხვდება. ეს, შედარებით ახალი, ტრენდი ქართულ ტელევიზორულ ულტრანაციონალისტური ჯგუფების - რომელთაც ასევე მოიხსენიებენ, როგორც ულტრამემარჯვენე ჯგუფებს - გაძლიერებასთან ერთად და მის შედეგად 2013 - 2014 წლებში წარმოიშვა; მომდევნო წლებში კი ამ ჯგუფების აქტივობების ზრდასთან ერთად უფრო და უფრო გააქტიურდა. გაშუქების ტიპური სცენარი ეყრდნობა ამ ჯგუფების მიერ ორგანიზებულ აქციებს, ან უფრო ხშირად, კონტრ-აქციებს იმ მოვლენებზე საპასუხოდ, რომელიც ეწინააღმდეგება მათ ულტრანაციონალისტურ დღის წესრიგს; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მოვლენები უკავშირდება ლგბტ უფლებებს, მუსლიმური ქვეყნებიდან მიგრაციას, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას და ა.შ. საქართველოში ულტრამემარჯვენე მოძრაობების მკვლევარები და პოლიტიკის საკითხების სპეციალისტები შიშობენ, რომ გაძლიერებული მედია ყურადღება შესაძლოა ამ ჯგუფებისთვის ბიძგის მიმცემი და დამატებითი ბერკეტი გახდეს ქვეყნის პოლიტიკაზე არალიბერალური დღის წესრიგით ზემოქმედებისთვის (Stephan 2020, Gelashvili 2020). თუმცა, ეს საკითხი საკმარისად შესწავლილი არ არის და არსებობს სისტემური ემპირიული მტკიცებულებების ნაკლებობა; შესაბამისად, საკმაოდ მწირია საქართველოში ულტრანაციონალისტური ჯგუფების, განსაკუთრებით კი მათი დისკურსის მედია გაშუქების შესახებ ცოდნა.

მიმომხილველები თანხმდებიან, რომ ამ ეტაპზე ულტრამემარჯვენე პარტიებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების პოლიტიკური კაპიტალი საქართველოში არც თუ ისე ძლიერია და განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება (მაგ. Stephan 2020). თუმცა, ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ამ აქტორების ულტრანაციონალისტურ დღის წესრიგს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სივრცეში განვრცობის პოტენციალი აქვს, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის საქართველოს დემოკრატიულ და ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს. ამის მაგალითია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ულტრანაციონალისტური ჯგუფის - ქართული მარშის პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბება და არჩევნებში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ პარტიამ დიდ წარმატებას ვერ მიაღწია (Civil.ge 2020; Central Election Committee 2020). თუმცა, საქართველოს პარლამენტში ბოლო წლებში მემარჯვენე ნაციონალისტური იდეოლოგიის მატარებელი წარმომადგენლების ნაკლებობა არ შეინიშნება. პატრიოტთა ალიანსი, რომელმაც პოლიტიკური აქტივობა 2014 წელს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობით დაიწყო, პარლამენტში 2016 წელს ხმების 5.1%-ით მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის არჩევნებში პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობა შემცირდა (3.14%), ის კვლავ განაგრძობს აქტიურ მონაწილეობას არჩევნების შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებში, სადაც პოლიტიკური

ოპოზიციის ძირითადი მოთამაშეები მმართველ გუნდთან გაჭიანურებულ მოლაპარაკებებში არიან ჩართულნი საერთაშორისო ფასილიტატორების შუამავლობით. ამასთან, მემარჯვენე პოლიტიკური პარტიები და არასაპარლამენტო ულტრანაციონალისტური ჯგუფები, იმის მიუხედავადაც კი, რომ მარგინალურ ძალად აღიქმებიან, მაინც ახერხებენ საკანონმდებლო პროცესზე არაპირდაპირ ზეგავლენას ლობისტების საშუალებით და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენას ონლაინ სივრცეში აქტიურობით (Gozalishvili 2020). მაგალითების ეს მცირე ჩამონათვალი, რომელიც ულტრამემარჯვენე ჯგუფების გაძლიერების პოტენციალზე მიანიშნებს, შეშფოთების საგანი ხდება ქვეყანაში საზოგადოების ძლიერი კონსერვატული განწყობების გათვალისწინებით, რაც PEW Research Center-ის მონაცემებით დასტურდება (2018). ეს უკანასკნელი კი ულტრანაციონალისტური დღის წესრიგის გაძლიერებისთვის "ნოყიერ ნიადაგს" ქმნის (Gelashvili 2019b).

ამ გარემოებების გათვალისწინებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმის შესწავლა, უწყობს თუ არა და რა ფორმით უწყობს ხელს ქართული მეინსტრიმული მედია საჯარო სივრცეში ულტრანაციონალისტური დღის წესრიგის გაჩენას ან გაძლიერებას. ამ მიზნით, წინამდებარე ნაშრომის მთავარი საკვლევია კითხვაა ის, თუ რა ფორმით აშუქებს მედია ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს და როგორია მედია დისკურსი ამ ჯგუფების გაშუქებისას ქართულ მეინსტრიმულ მედიაში. ეს მოიცავს მედიის მხრიდან ამ ჯგუფების ხილვადობის ხელშეწყობის სისტემურ ანალიზს და პასუხებს კითხვებზე: არის თუ არა და რამდენად არის მეინსტრიმული მედია დისკურსი ულტრანაციონალისტური ნარატივით გაჯერებული? აცნობს თუ არა მედია საზოგადოებას ულტრანაციონალიზმის კონტრ-არგუმენტებს? როგორია აქტორთა სტრუქტურა ამ დისკურსში? ვის ეთმობა ეთერი? ვის აქვს დისკურსის განსაზღვრის უფრო ძლიერი საშუალება - ულტრანაციონალისტ თუ სხვა აქტორებს? ამ კითხვების საპასუხოდ, ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში ულტრანაციონალისტური ჯგუფების და მათ გარშემო არსებული მეინსტრიმული მედიის დისკურსის სტრუქტურულ ანალიზს. ულტრანაციონალისტური ჯგუფები ნაშრომში განსაზღვრულია, როგორც ორგანიზებული, არასაპარლამენტო სუბიექტები ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური დღის წესრიგით. წარმოდგენილი კვლევის მიზანი მედია დისკურსში სწორედ ამ ჯგუფების ნარატივების იდენტიფიცირებაა. კონკრეტული ჯგუფის ნარატივებზე ფოკუსირების ნაცვლად, ნაშრომის ერთ-ერთი წვლილი ულტრანაციონალისტური ჯგუფების ერთიან აქტორად განხილვა და ამ გზით, მეინსტრიმულ მედიაში მათი დისკურსის უფრო ფართო და ზოგადი სურათის დანახვაა. თუმცა, იმის განსაზღვრად, თუ რამდენად არის მათი დისკურსი და ხმა წარმოდგენილი მედიაში, მნიშვნელოვანია სხვა აქტორების - მათ შორის საპარლამენტო და არასაპარლამენტო ულტრამემარჯვენე ჯგუფების - და მათი დისკურსის ანალიზის პროცესში გათვალისწინება.

ნაშრომი ეფუძნება პირველად მონაცემებს, რომელიც საქართველოში სამი წამყვანი ტელეარხის - რუსთავი 2-ის, იმედისა და საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხის პრაიმ ტაიმის ახალი ამბების პროგრამების რაოდენობრივი კონტენტ ანალიზის საშუალებით შეგროვდა. ანალიზში ყურადღება გამახვილებულია ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობების ოთხ შემთხვევაზე, რომელთაც განსაკუთრებით ძლიერი რეზონანსი მოჰყვა. კერძოდ,

(1) ე.წ რეივ რეკოლუცია 2018 წლის მაისში; (2) 2019 წლის ივნისის თბილისი პრაიდი; (3) ღირსების მარში, რომელიც 2019 წლის ივლისში ე.წ. "გავრილოვის ღამის" მოვლენების საპასუხოდ შედგა და (4) LGBT+ თემატიკაზე გადაღებული ქართულ-შვედური ფილმის და ჩვენ ვიცეკვეთ პრემიერის საპასუხოდ გამართული აქცია 2019 წლის ნოემბერში (ეს შემთხვევა ნაშრომში აღნიშნულია, როგორც ATWD). დისკურსის სტრუქტურის განსასაზღვრად, კვლევაში გამოყენებულია სოციალური ქსელის ანალიზის (SNA) მეთოდი (აბზიანიძე, 2020-ის მიხედვით).

ნაშრომის ძირითადი მიგნებები ცხადყოფს, რომ საქართველოში ულტრანაციონალისტური ჯგუფებისთვის საეთერო დროის დათმობის მიუხედავად, ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი დისკურსის შინაარსის წარმატებით გავრცელებას მეინსტრიმულ მედიაში. დისკურსის სიღრმისეული სტრუქტურის ანალიზი სწორად ამ თავისებურების კომპლექსურ სახეს აჩვენებს. ის თემატური კატეგორიები, რომლებიც საქართველოში ულტრანაციონალისტური ნარატივისთვის მნიშვნელოვანია, მხოლოდ მარგინალურადაა წარმოდგენილი მედია დისკურსში. ამის ნაცვლად, მედია გაშუქების ძირითადი ნაწილი ნეგატიურობაზე (მათ შორის შეურაცხმყოფელ ენაზე), ერთმანეთის ბრალეულობაზე და ძალადობის შესახებ საუბარზეა აგებული. თუმცა, შერჩეული შემთხვევების მედია გაშუქებისას მთავარი აქტორებიდან ყველაზე მეტად ულტრანაციონალისტური აქტორების, მათი ლიდერების და ეკლესიის წარმომადგენლების ხმა ისმის. მიუხედავად იმისა, რომ ტელეარხებს შორის მცირე განსხვავებები არსებობს, ზოგადი სურთი მაინც თანმიმდევრულია ნეგატიურობის, ბრალდებებისა და ძალადობის დღის წესრიგის, ასევე ულტრანაციონალისტური აქტორების ამ დღის წესრიგის მთავარ კონტრიბუტორებად წარმოჩენის კუთხით. ამასთან, ჟურნალისტები აქტიურად გამოხატავდნენ საკუთარ პოზიციას ნაშრომში განხილული მოვლენების გაშუქებისას და ყურადღებას ამახვილებდნენ ნეგატიურობასა და ძალადობაზე, როგორც ახალი ამბების მთავარ „ქარგზე“, რაც კიდევ უფრო აძლიერებს წარმოდგენილ კატეგორიებს დღის წესრიგში.

ნაშრომი იწყება კონცეპტუალური განხილვით, სადაც მოცემულია რადიკალური მემარჯვენე (ულტრა) ნაციონალიზმის ტერმინოლოგიური განსაზღვრება და წარმოდგენილია საქართველოში ულტრანაციონალისტური ჯგუფების და მათ შესახებ არსებული დისკურსის ანალიზის ჩარჩო. კვლევის დიზაინის სექციაში დეტალურად არის განხილული მონაცემების შეგროვების გზები და აღწერილია ის, თუ როგორ არის გამოყენებული სოციალური ქსელის ანალიზი დისკურსის შესწავლის პროცესში. მომდევნო სექციები ანალიზებს შერჩეულ მედია საშუალებებში დისკურსის როგორც თემატურ, ასევე, აქტორების სტრუქტურას. ნაშრომი სრულდება ძირითადი მიგნებების შეჯამებით და განიხილავს მათ ნორმატიულ გავლენას დემოკრატიაზე. დასკვნით ნაწილში ასევე განხილულია ნაშრომის შეზღუდვები და პოტენციური გზები შემდგომი კვლევებისთვის.

კონცეპტუალური გააზრება

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ულტრამემარჯვენე მოძრაობების მობილიზების გზების, ან ამ მობილიზაციის ამხსენი ფაქტორების თეორიული განხილვა (ულტრამემარჯვენე მობილიზაციაზე იხილეთ Caiani, della Porta, and Wagemann 2012). კვლევის მიზანი არც ამგვარი მოძრაობების მედია გაშუქების კონკრეტული თავისებურებების მიზეზებისა და შედეგების ჰიპოთეზის შემოწმებაა. ნაშრომი ადგენს, აღწერს და სოციალური ქსელის ანალიზის მეთოდოლოგიის საშუალებით სისტემურად აფასებს ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობებისა და დისკურსის გაშუქებას მეინსტრიმული სატელევიზიო მედიის მიერ.

ტერმინოლოგიური განსაზღვრება

პირველი რიგის ამოცანას ტერმინოლოგიური საკითხების დაზუსტება წარმოადგენს. ქართულ საჯარო სივრცეში ისეთი ტერმინები, როგორცაა "ულტრამემარჯვენეობა", "მემარჯვენე ექსტრემიზმი", "ულტრანაციონალიზმი", "ფაშიზმი", "ნეო-ნაციზმი", "ულტრა-კონსერვატიზმი", და ა.შ., ხშირად სინონიმებად გამოიყენება პოლიტიკოსების, ჟურნალისტების და ექსპერტების მიერ არალიბერალური დღის წესრიგის მქონე ერთსა და იმავე ჯგუფთან მიმართებაში (Gelashvili 2019a; Sartania and Tsurkava 2019). ამ იდეოლოგიებისა და მიმართულებების უმეტესობა აღნიშნულ ჯგუფთა შორის მართლაც არის წარმოდგენილი საქართველოში. თუმცა, დასადგენია ის, თუ რომელი განსაზღვრება ერგება ყველა ზემოხსენებულ ჯგუფს, როგორც ქოლგა ტერმინი. თუკი ზოგი, მაგალითად, საქართველოს ეროვნული ერთობა ნეო-ნაციისტურ სენტიმენტებით არტიკულირებს, იგივე არ ეხება სხვა დანარჩენ ჯგუფებსაც. ეს ჯგუფები ერთმანეთისგან იმითაც განსხვავდებიან, თუ რა თემები დომინირებს მათ დღის წესრიგსა და ნარატივებში (Sartania and Tsurkava 2019). რადგან ნაშრომში გაანალიზებულია არალიბერალური ჯგუფების, როგორც ერთიანი აქტორის დისკურსისა და აქტივობების მედია გაშუქების სურათი და არა რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მედია გაშუქება, მნიშვნელოვანია ამ ქოლგა ტერმინის განმარტება. ეს გასაანალიზებელი დისკურსიული კატეგორიების წინასწარი განსაზღვრის შესაძლებლობასაც შექმნის.

ცნება, რომელსაც წინამდებარე ნაშრომში ცენტრალური ადგილი უჭირავს, ექსტრემალური მემარჯვენე ნაციონალიზმია - რომელიც ულტრანაციონალიზმთან და ულტრამემარჯვენე ნაციონალიზმთან მონაცვლეობით გამოიყენება - და წარმოდგენილია, როგორც ქოლგა ტერმინი საკვლევი ჯგუფების დახასიათებისას. მემარჯვენე ექსტრემიზმის 26 განსაზღვრების საფუძველზე კონცეპტუალიზაციისას, კას მუდგე ნაციონალიზმს აღწერს, როგორც მემარჯვენე ექსტრემიზმის ერთ-ერთ მახასიათებელს ქსენოფობიასთან, რასიზმთან, ანტიდემოკრატიულობასთან და ძლიერი სახელმწიფოს ცნებასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ეს მახასიათებლები სასარგებლოა იმის დასადგენად, გამოხატავს თუ არა ჯგუფი ან პარტია მემარჯვენე ექსტრემისტულ ტენდენციებს, ავტორი აღიარებს, რომ არ არის ნათელი ის, თუ რომელი მახასიათებლების კომბინაცია განსაზღვრავს მემარჯვენე ექსტრემიზმს (მუდგე 1995). კარტერისთვის პრობლემურია ამ ხუთი მახასიათებლის კონცეფციის განმსაზღვრელ ელემენტებად წარმოჩენა, რადგან "ისინი აბსტრაქ-

ციის [...] კონცეპტუალურ კიბეზე ერთსა და იმავე ადგილს არ იკავებენ და მოწოდებები ნაციონალიზმის, ქსენოფობიის, რასიზმის და ძლიერი სახელმწიფოს მოთხოვნით არის ანტიდემოკრატიული განწყობის უფრო აღმატებული ცნების მანიფესტაცია” (Carter 2017, 30). ავტორი გვთავაზობს ეს მახასიათებლები გავნიხილოთ აუცილებელი და საკმარისი წინაპირობების ჭრილში, თუმცა აღნიშნავს, რომ ანტიდემოკრატიულობა არის ის, რაც წარმართავს მემარჯვენე ექსტრემიზმს მაშინ, როდესაც დანარჩენი ოთხი მახასიათებელი შესაძლოა იყოს ან არ იყოს მისი ნაწილი. სართანია და წურქავა აღნიშნავენ, რომ ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის კონკრეტული მახასიათებელი განსხვავდება კონტექსტის მიხედვით და შესაძლოა სხვადასხვა ფორმა მიიღოს სოციო-კულტურული, პოლიტიკური ან/და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. ამასთან, ეს ფორმები შესაძლოა განსხვავდებოდეს არამხოლოდ ქვეყნებს შორის, არამედ დროით განზომილებაშიც. საილუსტრაციოდ ავტორები განიხილავენ, თუ როგორ უპირისპირდებოდნენ ექსტრემისტები საქართველოში ეთნიკურ უმცირესობებს 1990-იან წლებში, 2000-იან წლებში ყურადღება რელიგიურ უმცირესობებზე გადაიტანეს, ხოლო 2010 წლიდან მიზანში ლგბტ თემი ამოიღეს. ამ სფეროს დამახასიათებელი დეფინიციური ბუნდოვანების და წინამდებარე ნაშრომის კონკრეტულ კონტექსტზე - საქართველოს მაგალითზე - ფოკუსის გათვალისწინებით, უფრო სასარგებლოა ყურადღება გამახვილდეს იმ კონკრეტული შემთხვევის შესაბამისი მემარჯვენე ექსტრემიზმის შემადგენელ ელემენტზე.


საქართველოში მემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფები ძირითადად ნაციონალისტური იდეოლოგიის მატარებლები არიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაციონალიზმი ამ ჯგუფების მამოძრავებელი ძალაა (იხილეთ მემარჯვენე ექსტრემიზმის მსგავსი ახსნა ევროპაში Eatwell 2000). ამ ორგანიზაციების სახელებიც კი ამ ფაქტზე მიანიშნებენ: ქართული იდეა, ქართული მარში, ქართული ძალა, საქართველოს ეროვნული ერთობა. ერი - ეთნიკური ნიშნით გაგებული - ის ძირითადი ცნებაა, რომელიც სრულად განსაზღვრავს ამ ჯგუფების არსებობასა და აქტივობებს. ამ კვლევაში ნაციონალიზმი განისაზღვრება, როგორც “დოქტრინა, რომლითაც პოლიტიკურ სისტემაში უნდა იხელმძღვანელოს ხალხმა, რომელიც საკუთარ თავს აღიქვამს განსაკუთრებულად თავის კულტურაში, ისტორიაში, ინსტიტუტებში ან წეს-ჩვეულებებში/პრინციპებში და რომელიც გამოხატავს და იცავს ამ განმასხვავებელ მახასიათებლებს” (Mansfield and Snyder 1995, 9–10; Snyder 2000, 23). წარმოდგენილ კვლევაში განხილული ჯგუფების შემთხვევაში, ნაციონალიზმს ექსტრემისტულ მემარჯვენე სპექტრზე აქცევს მისი ექსკლუზიური (ე.ი. გარიყვაზე დაფუძნებული) ბუნება, რომელიც ხშირად “სხვების” მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში გამოიხატება. ყველაფერი ან/და ყველა, რაც არ ჯდება მათი წარმოდგენის “კულტურაში, ისტორიაში ან წეს-ჩვეულებებში” ან ეწინააღმდეგება მათ - “მტერია”.

რამდენიმე მკვლევარის მიერ იდენტიფიცირებულ იმ საკითხების ჩამონათვალში, რომლითაც ულტრამემარჯვენე ჯგუფები აპელირებენ და რომელთა კაპიტალიზაციასაც ახდენენ საკუთარ დისკურსში, დომინირებს ლგბტ უფლებები, მიგრანტები - განსაკუთრებით თურქეთიდან, ირანიდან ან სხვა მუსლიმური ქვეყნებიდან, გენდერული თანასწორობა, ნარკოპოლიტიკა, დასავლეთიდან და ზოგადად ლიბერალური იდეოლოგიებიდან მომავალი საფრთხეები (Jgharkava 2017; Stephan 2020; Sartania and Tsurkava 2019; Gelashvili 2019a).

შესაძლოა, ერთი შეხედვით, ყველა ამ საკითხის პირდაპირი ბმა ნაციონალიზმთან არ იკვეთება. თუმცა, სწორად ერი (შესაბამისად, ტერმინი ქართველობა) არის ის, რასაც ეს ჯგუფები "იცავენ" ჰომოსექსუალებისგან, მუსლიმებისგან, მიგრანტებისგან, ნარკოტიკისგან, "არაჯანსაღი" გენდერული როლებისგან, რომელიც ანადგურებს ტრადიციული ოჯახის სტრუქტურას და ლიბერალური ღირებულებებისგან, რომელიც აძლიერებს ყველა ზემოხსენებულ "მტერს". ერის „დაცვის“ ამ პროცესში კი ზოგიერთი ეს ჯგუფი ნაციონალურ/ფაშისტურ დისკურსს მიმართავს, ზოგიც ანტი-დემოკრატიული სენტიმენტებით აპელირებს, სხვანი კი კონსერვატიულ მიდგომებზე ახდენს კაპიტალიზაციას; ეს ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს. თუმცა, ერთი, რაც აერთიანებს ამ ჯგუფებს არის ქართველი ერის დაცვის "პატრიოტული ვალდებულების" აღქმა.

რას გულისხმობს ულტრანაციონალისტური დისკურსი?

წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება აბზიანიძის (2020) მიდგომას დისკურსის, როგორც კომპლექსური სემანტიკური კონსტრუქციის გააზრების თვალსაზრისით; ამ მიდგომის მიხედვით, აღნიშნულ კონსტრუქციას აქვს გარკვეული სტრუქტურა, რომელიც განისაზღვრება მისი შემადგენელი ელემენტების ერთმანეთთან ურთიერთკავშირით. უფრო კონკრეტულად, ეს ელემენტები წარმოდგენილია, როგორც დისკურსის შინაარსი, ე.ი. თემატიკური კატეგორიები, კონტექსტი, რომელშიც ეს კატეგორიები მოიხსენიება და აქტორები, რომლებიც ამ თემატურ კატეგორიებს იყენებენ თავიანთ განცხადებებში. შესაბამისად, ურთიერთკავშირი ხდება სამ განზომილებაში: (1) აქტორებს შორის, ე.ი. აქტორები მიმართავენ ერთმანეთს და ეს მიმართებები იღებს სხვადასხვა ფორმას, მაგალითად დადანაშაულება, პროტესტი, მოთხოვნა, მოწოდება, მუქარა, ან მხარდაჭერა და ა.შ; (2) აქტორებსა და იმ თემატურ კატეგორიებს შორის, რომელთაც ისინი იყენებენ ან რომლებიც მათთან მიმართებაში არის გამოყენებული, ე.ი. აქტორები ურთიერთქმედებენ საკითხებთან; (3) თემატურ კატეგორიებსა და იმ კონტექსტს შორის, რომელშიც ეს კატეგორიები არის ნახსენები. მაგალითად, ლგბტ საკითხის თემატური კატეგორია მოხსენიებულია დადანაშაულების, პროტესტის თუ დაგმობის კონტექსტში? ამდენად, დისკურსი წარმოადგენს აქტორების მიერ გაკეთებული განცხადებების ერთობლიობას. თითოეული განცხადებას ყავს გამგზავნი, ე.ი. აქტორი, რომელიც აკეთებს განცხადებას და ადრესატი - აქტორი, რომლის მიმართაც კეთდება განცხადება. მეტი სიცხადისთვის, სურათი 1 წარმოადგენს არგუმენტის გრაფიკულ ილუსტრაციას. რადგან წარმოდგენილი კვლევის მიზანი კონკრეტულად ულტრანაციონალისტური დისკურსის შესწავლაა, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას გულისხმობს ულტრანაციონალისტური დისკურსი როგორც შინაარსის, ისე აქტორის თვალსაზრისით. სწორად ეს საკითხებია განხილული შემდეგ სექციაში.



სურათი 1. ულტრანაციონალური დისკურსის სტრუქტურის კონცეპტუალური ჩარჩო.

ულტრანაციონალისტური დისკურსი და თემატური კატეგორიები

როგორც წესი, კონცეპტუალიზაციის პროცესში, ე.ი. კონკრეტული კონცეფციის ინდიკატორების იდენტიფიცირებისას, მკვლევარები თეორიულ ლიტერატურას ეყრდნობიან. წარმოდგენილი ნაშრომის შემთხვევაში, ეს გულისხმობს ზოგადად ულტრამემარჯვენე ნაციონალიზმისა და მემარჯვენე ექსტრემიზმის შესახებ ლიტერატურის გამოყენებას იმის დასადგენად, თუ რა კონკრეტულ საკითხებს ფარავს ულტრანაციონალისტური დისკურსი. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ულტრამემარჯვენე ჯგუფების დისკურსი და ის თემატური საკითხები, რომლითაც ისინი აპელირებენ, შესაძლოა, კონტექსტიდან გამომდინარეობდეს. რადგანაც ნაშრომის ძირითადი ინტერესის სფეროს იმის დადგენა წარმოადგენს, აშუქებს თუ არა და როგორ აშუქებს მენისტრიმული ქართული მედია ულტრანაციონალისტური ჯგუფების დისკურსს, უფრო მეტად გამოსადეგია იმ საკითხებზე ფოკუსირება, რასაც ულტრანაციონალისტური ჯგუფები იყენებენ საქართველოში. რამდენიმე ნაშრომი - კვლევა, ანგარიში და პოლიტიკის დოკუმენტი - ამ საკითხს საქართველოს კონტექსტში განიხილავს და წარმოადგენს სხვადასხვა არასაპარლამენტო ჯგუფის, ასევე ფორმალური პოლიტიკური პარტიის დისკურსის ხარისხობრივ ანალიზს ამ სუბიექტების საკომუნიკაციო არხებიდან - მაგალითად სოციალური მედიის გვერდებიდან და მანიფესტებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე (Sartania and Tsurkava 2019; Gelashvili 2019a; Jgharkava 2017; Kandelaki 2021; Stephan 2020). ამ ნაშრომების მიგნებები ერთმანეთთან თანხვედრაშია საქართველოში ულტრანაციონალისტური ჯგუფების არალიბერალური დღის წესრიგის განმსაზღვრელი საკითხების იდენტიფიცირების მხრივ.

ძირითად საკითხებს შორისაა ლგბტ+ თემი, მიგრანტები, გენდერული როლები, რელიგია და ეთნიკურობა, საქართველოს და მსოფლიოს ისტორია და ქვეყნის შიდა და გარე საფრთხეების განსაზღვრა. ოთხი წამყვანი ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური ჯგუფის - ქართული მარშის, ქართული ძალის, ქართული იდეის და ნაციონალისტების - ფეისბუქ გვერდების მულტიმეთოდურ კვლევაში სართანია და

წერკავა წარმოადგენენ ამ ჯგუფების დისკურსის ფორმისა და ხასიათის ყოვლისმომცველ ანალიზს. ისინი იმ თემატური კატეგორიების იდენტიფიცირებას ახდენენ, რომლებსაც ეს ჯგუფები საკუთარ აუდიტორიასთან კომუნიკაციისას იყენებენ და თითოეული მათგანის დეტალურ განსაზღვრებას წარმოადგენენ (Sartania and Tsurkava 2019). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რადგან კვლევა ეფუძნება ფეისბუქ გვერდების ანალიზს, დისკურსი, რომელიც ავტორების მიერ იდენტიფიცირებულ თემატურ კატეგორიებს ეფუძნება, სრულად კონტროლდება თავად ამ ჯგუფების მიერ; ე.ი. ეს არის ის დისკურსი, რასაც საკუთრივ ეს ჯგუფები ირჩევენ საკუთარ აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის. ეს ინფორმაცია უმნიშვნელოვანესია, რადგან ეს გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, რა კონკრეტული საკითხებს ეყრდნობა საქართველოში ულტრანაციონალისტური ჯგუფების დისკურსული დღის წესრიგი. იმისათვის, რომ გავარკვიოთ რამდენად და რა ფორმით არის ეს დისკურსი მეინსტრიმულ მედიაში წარმოდგენილი, წინამდებარე ნაშრომი იყენებს სართანიას და წერკავას კვლევის (2019) მიგნებებს ულტრანაციონალისტური დისკურსის შემადგენელი თემატიკური კატეგორიების განსაზღვრისთვის. კატეგორიების ჩამონათვალი და მათი დეტალური აღწერა წარმოდგენილია ცხრილი 1-ში.

თემატური კატეგორიები	აღწერა
ლგბტ	ლგბტ+ თემის ან ლგბტ+ უფლებების დამცველების ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება - მათი წარმოჩენა, როგორც საფრთხე საქართველოს დემოგრაფიისა და ტრადიციებისადმი; ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა "გარყვნილება", "ავადმყოფობა", ა.შ. ლგბტ+ უფლებების წინააღმდეგ განცხადებების გაკეთება.
ქალები	ოჯახში ქალების როლის ხსენება, ქალების კაცებთან შედარებით დაბლა მდგომარეობის წარმოჩენა, ქალების პოლიტიკაში ჩართულობის, სოციალურად აქტიური ქალების და ზოგადად ფემინიზმის შესახებ დამამცირებელი კომენტარები.
რელიგია	რელიგიის, როგორც მნიშვნელოვანი კატეგორიის ზოგადი აღნიშვნა. შესაძლოა ეხებოდეს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას რელიგიურ ფიგურებზე, ღირებულებებზე ან სხვა წმინდა კატეგორიებზე საუბრით. ასევე შეიძლება გულისხმობდეს სხვა რელიგიური ჯგუფების - საქართველოს შიგნით და მის გარეთ - ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიებას. მაგალითად, ისლამის, როგორც ტერორიზმის გამომწვევ ფაქტორად ან ქართველი ერისთვის საფრთხედ წარმოჩენა.
მიგრანტები	მიგრანტების - განსაკუთრებით აზიიდან და აფრიკიდან - ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება, მათი როგორც საფრთხის წარმოჩენა, მათთვის მიწის მიყიდვის და ბიზნეს საქმიანობის გაპროტესტება, მიგრანტებთან პროსტიტუციის, გაუპატიურების და სხვა არალეგალური საქმიანობის დაკავშირება.

ცხრილი 1. ანალიზში გამოყენებული ულტრანაციონალისტური დისკურსის თემატური კატეგორიები. კატეგორიები ეფუძნება სართანიას და წერკავას მიგნებებს, 2019.

თემატური კატეგორიები	აღწერა
ეთნო-ნაციონალიზმი	“ქართველობის” ეგზალტირებულად ხსენება, ერთგვაროვანი ეთნიკურობის განდიდება და ამ კატეგორიების გამოყენება “სხვების” დასაგმობად. რასის ხსენება და ამ კატეგორიის გამოყენება სხვა ჯგუფების დისკრედიტაციისთვის. სახელმწიფოსთვის მოწოდება, რომ ქართველებმა განსაკუთრებული მოპყრობით ისარგებლონ.
ისტორიის განდიდება	ისტორიული მოვლენების, ფიგურების (მაგ. მეფეების და წმინდანების), ომის თარიღების ხსენება. ჰეროიკული ნარატივები იმის შესახებ, თუ როგორ მოიგეს ქართველებმა ომები წარსულში ან როგორ გასწირა კონკრეტულმა ისტორიულმა ფიგურამ თავი სამშობლოსთვის. ეს ასევე შეიძლება დაუკავშირდეს მონარქიის რომანტიზებას და ბაგრატიონების დინასტიის განსაკუთრებულობას. ეროვნულ განმანათლებლებელი მოძრაობის და მასთან დაკავშირებული მოვლენების (მაგ. 9 აპრილის ტრაგედია, ზვიად გამსახურდია, ა.შ.) ქება. ეს კატეგორია ასევე შეიძლება ეხებოდეს საქართველოს ისტორიის ნებისმიერ პერიოდს.
ავტორიტარიზმი	მსოფლიო ისტორიიდან ავტორიტარული ლიდერების პოზიტიურ კონტექსტში ხსენება და მტკიცება, რომ ამ ტიპის მმართველობა გამართლებულია ლიბერალურ ღირებულებებთან საბრძოლველად.
ნარკოპოლიტიკა	ნარკოპოლიტიკის რეფორმა და მისი ლიბერალიზაცია წარმოჩენილია როგორც საფრთხე ერისთვის და ქართული გენეტიკისთვის და როგორც ნარკოტიკების პროპაგანდა.
დასავლეთი, როგორც საფრთხე	ზოგადად დასავლეთი, უფრო კონკრეტულად კი ევროკავშირი და აშშ წარმოჩენილია, როგორც საფრთხე ლიბერალური ღირებულებების გავრცელების ძალისხმევის გამო.
დასავლელი ულტრანაციონალისტების მხარდაჭერა	ევროპასა და აშშ-ში ულტრანაციონალისტური ჯგუფების და ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიების ღიად დეკლარირებული მხარდაჭერა, მათი, როგორც თავიანთი ერების ლიბერალური ღირებულებებისგან დამცველების და სამაგალითო აქტორების წარმოჩენა.
რუსეთთან კულტურული სიახლოვე	რუსეთის რელიგიური და კულტურული სიახლოვის კონტექსტში ხსენება და ამ მიზეზით რუსეთთან სიახლოვის ლეგიტიმაცია. რუსი რელიგიური ფიგურების გამონათქვამების გაჟღერება, ქართველებსა და რუსებს შორის კულტურული მსგავსების ხსენება.
რუსეთი, როგორც ოკუპანტი	რუსეთის მხრიდან ქართული ტერიტორიების ოკუპაციის ხსენება, რუსეთის მტრად წარმოჩენა.
ნეგატიური/პოზიტიური მიმართება (აქტორების დონე)	ნეგატიური: შეურაცხყოფელი ენის გამოყენება; ისტორიიდან, ლიტერატურიდან, მითოლოგიიდან ნეგატიურ ფიგურასთან შედარება პოზიტიური: ქება, მაღლიერება, მილოცვა, ბოდიშის მოხდა.
ძალადობა/ძალადობის არარსებობა	ძალადობა: ძალადობის ხსენება, როგორც პრობლემის მოგვარების გზა, ესკალაციაზე საუბარი, ფიზიკური ძალადობა, ვინმეს ძალადობის მსხვერპლად მოხსენიება, ძალადობის შედეგად რაიმეს დაზიანებაზე ხაზგასმა. ძალადობის არარსებობა: მშვიდობის ხსენება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა, ნებისმიერი სახის ძალადობაზე უარის თქმა, ძალადობრივი მოქმედების უარყოფა, ძალადობრივი მოქმედების დაგმობა.

ცხრილი 1. ანალიზში გამოყენებული ულტრანაციონალისტური დისკურსის თემატური კატეგორიები. კატეგორიები ეფუძნება სართანიას და წურკავას მიგნებებს, 2019.

ულტრანაციონალისტური დისკურსი და გავლენის აგენტები

აქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ნებისმიერი სახის დისკურსის გავრცელებაში. იმისათვის, რომ განისაზღვროს რამდენად არის ულტრანაციონალისტური ჯგუფების დისკურსი მედია სივრცეში გავრცელებული, მნიშვნელოვანია ანალიზში აქტორების ფართო სპექტრის მოცვა და იმის დადგენა, თუ რა წილი აქვთ ულტრანაციონალისტ აქტორებს აღნიშნულ დისკურსში სხვა აქტორებთან შედარებით. წარმოდგენილ ანალიზში, ულტრანაციონალისტური ჯგუფები დაყოფილნი არიან ულტრანაციონალისტ ლიდერებად (ჯგუფებისა და ორგანიზაციების ლიდერები) და ულტრანაციონალისტ აქტივისტებად (ჯგუფებისა და ორგანიზაციების რიგითი წევრები). ორივე ერთად ქმნის ერთიან, კუმულაციურ აქტორს. მათი იდენტიფიცირება კი ხდება მედიაში მათი სახელდების მიხედვით (ყველაზე ხშირად სიუჟეტში გამოყენებულ წარწერებში ან ჟურნალისტების მიერ აქტორის დასახელების დროს). ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიები ცალკე აქტორებად აღიქმებიან. კვლევები ცხადყოფს, რომ ეკლესია და რელიგია, როგორც წესი, საქართველოში ულტრამემარჯვენე ნაციონალიზმის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს (Kandelaki 2021). შესაბამისად, იმისათვის, რომ გავარკვიოთ სად დგას ეკლესია ამ დისკურსში, მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტის აქტორად განხილვა. ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობები საქართველოში ყველაზე ხშირად ლიბერალური ჯგუფების, განსაკუთრებით ლგბტ+ უფლებების დამცველების, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრე სოციალური მოძრაობების, და ა.შ. აქტივობების საპასუხოდ იმართება. შესაბამისად, ეს აქტივისტები წარმოდგენილ კვლევაში განხილული მოვლენების მთავარი მონაწილეები არიან. ამასთან, არსებობს მოლოდინი, რომ ეს აქტივისტები ულტრანაციონალიზმის კონტრ-დისკურსის ძირითადი წყარო შეიძლება იყვნენ. წინამდებარე კვლევაში ლიბერალური ფრთა, ერთიანობაში მოხსენიებულია, როგორც აქტივისტები. მედია დისკურსზე დიდ გავლენას ახდენენ სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი ჩართვაც ანალიზის პროცესში.

პოლიტიკური პარტიები - მათ შორის მმართველი პარტია და ულტრამემარჯვენე პარტიები ცალკე აქტორებად არიან წარმოდგენილნი, რადგან მათ საკუთარი, განსხვავებული დღის წესრიგი აქვთ და დისკურსზე ზეგავლენა სხვადასხვა გზით შეუძლიათ. ამასთან, აქტორებად არიან მოხსენიებული მედია და ჟურნალისტებიც, რადგან ისინი აკონტროლებენ იმას, თუ რა შექდება და რა არა. ჟურნალისტები - განსაკუთრებით ისეთ პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში, როგორიც საქართველოშია - ხშირად ერთვებიან სუბიექტურ განხილვებში და საკუთარ განცხადებებს აკეთებენ, რაც თავის მხრივ პოლიტიკურ პროცესებში მათ ფაქტორს აძლიერებს. სხვა აქტორები, რომელთაც მედია დისკურსზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ, არიან: ომბუდსმენი, ინტელექტუალები (აერთიანებს კულტურულ ელიტას, ექსპერტებს, მეცნიერებს, მწერლებს, არტისტებს, ა.შ.), არასამთავრობო ორგანიზაციები. ანალიზში გამოყენებული აქტორების დეტალური სია წარმოდგენილია დანართში.

ულტრანაციონალისტური დისკურსი და მედია [i]

საკამათო ბევრი არაფერია, როდესაც საქმე მედიის - როგორც მასმედიის, ისე სოციალური მედიის - გავლენას ეხება ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ანალიტიკოსების მღელვარებას იწვევს ის, უწყობს თუ არა ხელს და რამდენად უწყობს ხელს მედია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში ულტრამემარჯვენე ძალების ზრდას. ზოგადად, კომუნიკაციების მკვლევარები თანხმდებიან, რომ პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესი შეიძლება იყოს როგორც ზემოდან-ქვემოთ, ასევე, ქვემოდან-ზემოთ მიმართული პროცესი; ეს კი იმას გულისხმობს, რომ ელიტებს იმდენადვე შეუძლიათ პროცესის არსის განსაზღვრა, რამდენადაც მედიასა და აუდიტორიას. მედიას და ჟურნალისტებს აქვთ ძალა, რომ განსაზღვრონ დღის წესრიგი (McCombs 1981; McCombs and Shaw 1972; Weaver 2007) და გადაწყვიტონ როგორ მოხდება საკითხების ფრეიმინგი დღის წესრიგში (Entman 1993; Iyengar 1991). შედეგად, მედიას შეუძლია პოლიტიკური მოვლენების დროისა და ხასიათის რესტრუქტურირება, სიტუაციების კრიზისად წარმოჩენა (ან პირიქით), პოლიტიკურ სივრცეში ახალი სახეების გამოჩენა ან ამ პროცესის ხელშეშლა, და იმის განსაზღვრა, თუ საზოგადოების რომელი პოლიტიკური მოთხოვნები გაჟღერდება და რომლები - არა (Blumler and Gurevitch 1995).

ელინასის (2018) მტკიცებით, სწორად ამ ორი "ძალის" წყალობით მედიას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ულტრამემარჯვენეობის გაძლიერებაში ან პირიქით. ავტორი გამოჰყოფს სამ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ეს შეიძლება მოხდეს: აღიარება, ბიძგი და ლეგიტიმაცია (Ellinas 2018). წარმოდგენილი არგუმენტი კარგად ესადაგება ლიტერატურას მედიასა და დემოკრატიზაციაზე. თუკი მედიის ძირითად დემოკრატიულ ფუნქციებად შეიძლება განისაზღვროს, როგორც ვოჩდოგის, ისე ინფორმაციის მიმწოდებლისა და საჯარო სივრცის შემქნელის როლი, დემოკრატიზაციის კონტექსტში მედიას დამატებითი პასუხისმგებლობები ეკისრება (Veltmer 2013): კერძოდ, დემოკრატიის ცნების ლეგიტიმაცია, პოლიტიკურ ველზე ახალი აქტორების ლეგიტიმაცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება დემოკრატიულ პროცედურებზე და ეროვნული ინტეგრაციის ხელშეწყობა (Jakubowicz and Sükösd 2008; Sükösd 1997; Sükösd 2000). ლეგიტიმაციის კუთხით, მედიას ასევე შეუძლია ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური ჯგუფების მობილიზაციის უნარის გაძლიერებას შეუწყოს ხელი მათთვის ზედმეტი ყურადღების დათმობით და საჯარო სივრცეში მათი დისკურსისა და ნარატივის კრიტიკული განხილვის გარეშე გავრცელებით. მსგავსი დისკურსიული ველის გახსნით კი, მედია ამ ჯგუფების პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურის გაძლიერებას შეუწყობს ხელს (Giugni et al. 2005). ლეგიტიმაციის გარდა, კოოპმანსი კიდევ ერთ მნიშვნელოვან კატეგორიად რეზონანსს/გამოხმაურებას გამოჰყოფს. მისი თქმით, "მესიჯები, რომელთაც გამოხმაურება აქვთ, ფართოდ ვრცელდება", რაც გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი გამოხმაურება, თუნდაც ნეგატიური, ხელს უწყობს ამ მესიჯის ნაწილობრივ მაინც რეპროდუქციას, რაც თავის მხრივ ახალ აუდიტორიას იზიდავს (Koopmans 2004, 374). ამასთან, ევროპული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, ქავთარაძე აღნიშნავს, რომ ამ ჯგუფების ნეგატიურმა გაშუქებამაც კი - და განსაკუთრებით მათმა ძალადობასთან ასოცირებამ - შესაძლოა "გადამწყვეტი" როლი ითამაშოს ამ ჯგუფების და მათ ლიდერების მნიშვნელოვან აქტორებად წარმოჩენაში და შესაბამისად, მათი პოზიციების გაძლიერებაში (Kavtaradze 2019, 20).

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კვლევები, რომლებიც სწავლობს ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური ჯგუფების დისკურსს საქართველოში ამ ჯგუფების ფეისბუქ გვერდების ანალიზზე დაყრდნობით, ჩვენ არ გაგვაჩნია სისტემური ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორია ეს დისკურსი მეინსტრიმულ სატელევიზიო მედიაში. ამდენად, წარმოდგენილი კვლევა ამ დისკურსის სტრუქტურის შესწავლას ისახავს მიზნად. ამისათვის, მომდევნო სექციაში წარმოდგენილია კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია და ის პირველადი მონაცემები, რომლებიც კვლევისთვის შეგროვდა.

კვლევის დიზაინი

აბზიანიძის (2020) მიხედვით, წინამდებარე კვლევაში ულტრანაციონალისტური დისკურსი გაგებულა, როგორც ქსელი, სტრუქტურა, რომელსაც განსაზღვრავს სხვადასხვა ელემენტების, მაგალითად აქტორების და თემატური კატეგორიების ურთიერთქმედება. დისკურსის მიმართ ასეთი მიდგომა მოითხოვს სოციალური ქსელის ანალიზის მეთოდების გამოყენებას სტრუქტურული მახასიათებლების დასადგენად (Wasserman and Faust 2009; van Atteveld 2008). მონაცემები სპეციალურად ამ კვლევისთვის შეგროვდა სამი მეინსტრიმული ქართული არხის პრაიმ ტაიმის ახალი ამბების პროგრამების რაოდენობრივი კონტენტ ანალიზის გამოყენებით. ამ მეთოდების გამოყენების დეტალურ ახსნამდე, მნიშვნელოვანია შერჩევის მეთოდების სტრატეგიის გაცნობა.

მიზეზი, რატომაც მოხდა ოთხი კონკრეტული ულტრანაციონალისტური აქტივობის მედია გაშუქებაზე ყურადღების გამახვილება შემთხვევით შერჩეული ახალი ამბების პროგრამებზე ფოკუსირების ნაცვლად არის ის, რომ როგორც წესი, ქართული მეინსტრიმული ტელემედია წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის საკვლევ ჯგუფებს მხოლოდ მაშინ აშუქებს, როდესაც ისინი აქტიურდებიან და დემონსტრაციას ან კონტრ-აქციას აანონსებენ ან აორგანიზებენ. ეს ის ოთხი შემთხვევაა, რომლებმაც ბოლო წლებში ყველაზე დიდი რეზონანსი გამოიწვია. შესაბამისად, არსებობს მოლოდინი, რომ ამ შემთხვევების ანალიზი ყველაზე უკეთ წარმოაჩენს, მედიის მიერ ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობებისა და დისკურსების გაშუქების თავისებურებებს.

მიზეზი, რატომაც ანალიზისთვის სხვა სახის მედიის ნაცვლად ტელევიზია იქნა შერჩეული, არის ის, რომ უკვე წლებია ტელევიზია ყველაზე ფართოდ მოხმარებადი მედიაა საქართველოში, რაც ასახულია კავკასიის ბარომეტრის არაერთ კვლევაში. [ii] ამ გარემოებების გათვალისწინებით, ტელემედია ქვეყანაში დღის წესრიგის განმსაზღვრელ ყველაზე ძლიერ აქტორად მოიაზრება. ანალიზისთვის შეირჩა სამი ძირითადი არხის - რუსთავი 2-ის, იმედის და საზოგადოებრივი მაუწყებლის - პირველი არხის პრაიმ ტაიმის ახალი ამბების პროგრამები. [iii] მსგავსი შერჩევით, ანალიზი მოიცავს სამი განსხვავებული ტიპის მედიას, რაც ასევე ფარავს პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა ძალებს. რადგან ნაშრომში გაანალიზებულია 2018-2019 წლების პერიოდის შემთხვევები, მედია ლანდშაფტზე მსჯელობაც ამავე პერიოდს მოიცავს. 2020 წლის გაზაფხულზე საქართველოს მედია ლანდშაფტი მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც შეცვალა ძალთა ბალანსი ძირითად მედია აქტორებს შორის.

2018-2019 წლებში, მაშინ როდესაც ეს მოვლენები განვითარდა, რუსთავი 2 ღიად თვით-დეკლარირებული ოპოზიციური არხი იყო. იმედი იყო და ახლაც არის მოაზრებული როგორც მთავრობის პოლიტიკური ხაზის გამტარებელი მედია საშუალება; მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია დაბალანსებულად გააშუქოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები. თითოეული არხის შემთხვევაში, მოცემული მოვლენების გაშუქების გასაანალიზებლად ორი დღე იქნა შერჩეული: დღე, როდესაც ეს მოვლენები მოხდა ან დაიწყო და შემდგომი დღე. მსგავსი შერჩევით ჯამში 24 საინფორმაციო გამოშვება იქნა გაანალიზებული. [iv]

მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კონტენტ ანალიზის მეთოდი. ეს მეთოდი თავის თავში გულისხმობს წინასწარ განსაზღვრული მკაფიო წესების ჩამოყალიბებას ახალი ამბების პროგრამების კოდირებისთვის. კოდირება ორ დონეზე, პროგრამისა და განცხადების დონეზე განხორციელდა. წარმოდგენილ კვლევაში გაანალიზებულია მხოლოდ ის სიუჟეტები, რომლებიც ამ ოთხ მოვლენას მიეძღვნა; შესაბამისად, განცხადებების დონეზე მხოლოდ მათი კოდირება მოხდა. პროგრამის დონეზე კოდირებისას ყურადღება გამახვილდა ახალი ამბების პროგრამის მიმდინარეობისას ულტრანაციონალისტური ჯგუფებისა და ყველა სხვა აქტორებისთვის დათმობილ საეთერო დროზე იმის დასადგენად, თუ რამდენად დომინირებდა ულტრანაციონალისტური ჯგუფების ხილვადობა სხვა აქტორების ხილვადობასთან შედარებით. თუმცა, წინამდებარე კვლევის უმთავრეს მიზანს განცხადებების დონის ცვლადების კოდირება წარმოადგენს, რადგან სწორედ აქ შეიძლება დისკურსის სტრუქტურული მახასიათებლების დადგენა. ამ შემთხვევაში ანალიზისთვის გამოყენებულ ერთეულს წარმოადგენს განცხადება, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტორის მიერ გამოხატული მოსაზრება/პოზიცია. ნაშრომის მიზნებისთვის მოხდა მხოლოდ მკაფიო განცხადებების კოდირება. სურათი 1-ში წარმოდგენილი კონცეპტუალიზაციის შესაბამისად, განცხადება მოიცავს ოთხ ელემენტს: (1) გამგზავნი, ე.ი. აქტორი, რომელიც აკეთებს განაცხადს; (2) ადრესატი, ე.ი. აქტორი, ვისკენაც მიმართულია განცხადება; (3) განცხადების ტიპი, რომელიც განსაზღვრულია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: დადანაშაულება, პროტესტი, მოწოდება, მუქარა, უარყოფა, დაგმობა, მხარდაჭერა, დაპირება, პროგნოზირება და რაც ყველაზე მთავარია, (4) განცხადების შინაარსი, რომელიც განისაზღვრა ცხრილი 1-ში აღწერილი თემატიკური კატეგორიების მიხედვით.

იმისათვის, რომ მოხდეს ულტრანაციონალისტური დისკურსის საპირისპირო არგუმენტების იდენტიფიცირება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ კოდირების პროცესი მოიცავდეს შესაბამის თემატურ კატეგორიებსაც. კერძოდ, ცხრილი 1-ში წარმოდგენილი თითოეული თემატური კატეგორიისთვის უნდა განისაზღვროს საპირისპირო კატეგორია (ამ ცვლადებს აქვთ იგივე სახელწოდებები, რაც ცხრილი 1-შია წარმოდგენილი, თუმცა დამატებული აქვთ სუფიქსი „საპირისპირო“). მაგალითად, ცვლადი “ლგბტ” მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც კეთდება ლგბტ+ უფლებების საწინააღმდეგო განცხადება; ხოლო, ლგბტ+ უფლებების დასაცავად გაკეთებული განცხადება კოდირებული იქნება, როგორც “ლგბტ_საპირისპირო” (რაც გულისხმობს ამ კატეგორიის ულტრანაციონალისტური ფორმით მოხმარების საპირისპირო შემთხვევას).

განცხადებები ერთმანეთისგან გაიმიჯნა “გამგზავნის” და “განცხადების ტიპის” ცვლადების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი განცხადება სრულდება და მეორე იწყება მაშინ, როდესაც ან გამგზავნი ან განცხადების ტიპი, ან ორივე ერთად იცვლება. თემატური კატეგორიები ერთმანეთთან შეუთავსებელი არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ განცხადებაში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ერთზე მეტი თემატური კატეგორია. იმ აქტორების სია, რომლებიც პოტენციურად შეიძლება მედია დისკურსში გამოჩენილიყვნენ, წინასწარ იქნა განსაზღვრული. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ კოდირების პროცესში სხვა ისეთი აქტორების იდენტიფიცირება მოხდა, რომლებიც სიაში არ იყო აღნიშნული, ისინი ამ სიას დაემატნენ. 24 საინფორმაციო გამოშვების კოდირების შედეგად, ჯამში, მოხდა 811 განცხადების კოდირება.

ულტრანაციონალისტური დისკურსის კონცეპტუალიზაციის (სურათი 1) და კოდირების შესაბამისი წესების გათვალისწინებით, შეგროვებული მონაცემები ხასიათდება ინტერაქციული ბუნებით. სოციალური ქსელის ანალიზის მეთოდები მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ განისაზღვროს რა ტიპის სტრუქტურა ფორმირდება მსგავსი ინტერაქციული ასპექტებით. [v] დისკურსის ანალიზისთვის ამ უკანასკნელის გამოყენება გულისხმობს დისკურსის, როგორც ქსელის გაგებას. როგორც წესი, ქსელები შედგება ე.წ. “კვანძებისა” და “კავშირებისგან”, რომელიც აყალიბებს “კვანძებს” შორის ინტერაქციას. დისკურსის ქსელში, “კვანძები” შესაძლოა გულისხმობდეს ან აქტორს ან თემატურ კატეგორიას, რომელსაც ისინი საკუთარ განცხადებებში იყენებენ; “კავშირები” გულისხმობს დისკურსიული ინტერაქციის ნებისმიერ ტიპს, რომელიც შეიძლება არსებობდეს ერთი მხრივ აქტორებს შორის და მეორე მხრივ აქტორებსა და თემატურ კატეგორიებს შორის. იმის გათვალისწინებით, თუ რა წარმოადგენს კვლევის საგანს, ქსელები შესაძლოა იყოს ერთი ან ორშრიანი. წინამდებარე კვლევაში, ორშრიანი ქსელი გამოიყენება ორი ტიპის ურთიერთქმედების გამოსახატად: (1) ინტერაქცია, რომელიც ხდება აქტორებსა და თემატურ კატეგორიებს შორის; და (2) ინტერაქცია, რომელიც მჟღავნდება თემატურ კატეგორიებსა და განცხადებების ტიპებს შორის. მოკლედ რომ ვთქვათ, ორშრიანი ქსელები გამოხატავს ურთიერთობას “კვანძების” ორ სიმრავლეს შორის.

სოციალური ქსელის ანალიზის ორი საზომი - შიდა ხარისხობრივი ცენტრალურობა და გარე ხარისხობრივი ცენტრალურობა - გამოიყენება დისკურსის სტრუქტურის სხვადასხვა ასპექტების გაანალიზების მიზნით. როგორც წესი, ცენტრალურობა განსაზღვრავს კვანძის დომინანტობას, მაგალითად იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აქტორი ულტრანაციონალისტური განცხადებების გაკეთებისას ან რამდენად მნიშვნელოვანია საკითხი (ან თემატური კატეგორია) დისკურსში. უფრო კონკრეტულად, გარე ხარისხობრივი ცენტრალურობა ითვლის “კვანძიდან” გამავალი კავშირების რაოდენობას (მაგ. რამდენი განცხადება გააკეთა აქტორმა). შიდა ხარისხობრივი ცენტრალურობა განსაზღვრავს კვანძისკენ მიმართული კავშირების რაოდენობას (მაგ. რამდენი განცხადება მიიღო აქტორმა, როგორც ადრესატმა, ან რამდენჯერ ახსენებს აქტორი კონკრეტულ საკითხს). იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ქსელების ერთმანეთთან შედარება, მნიშვნელოვანია ამ საზომების ნორმალიზება ქსელის ზომის (განისაზღვრება მოცემულ ქსელში კვანძების რაოდენობით) მხედველობაში მიღების გზით. ამდენად, როგორც შიდა, ისე გარე ხარისხობრივი ცენტრალურობა იანგარიშება შემავალი ან/და გამავალი

კავშირების დაჯამებით (შესაბამისად) და იყოფა ქსელში არსებული კვანძების მთლიან რაოდენობაზე. ამგვარად, მიღებული ცენტრალურობის განმსაზღვრელი რიცხვი შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც პროცენტული მაჩვენებელი და შესაძლებელი გახდეს ქსელების ერთმანეთთან შედარება. ეს დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ ულტრანაციონალისტური ჯგუფების და მათ გარშემო არსებული დისკურსის ღრმა სტრუქტურები.

შედეგები: ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობებისა და მათი დისკურსის გაშუქება მეინსტრიმული სატელევიზიო მედიაში

შედეგების განხილვამდე, მნიშვნელოვანია საკვლევე შემთხვევების ზოგადი მიმოხილვა:

რეივ რევოლუცია - 2018 წლის 12 მაისის ღამეს, მძიმედ შეიარაღებული პოლიცია თბილისის სამ ღამის კლუბში შეიჭრა სავარაუდო ნარკო რეალიზატორების დაკავების მოტივით. ამან საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ასევე კლუბების მეპატრონეებისა და ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრე აქტივისტების მხრიდან მწვავე რეაქცია გამოიწვია. მომდევნო დღეს გაიმართა დიდი ორგანიზებული დემონსტრაცია პარლამენტის შენობის წინ. პროტესტს შეუერთდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკოსები. აქციის მონაწილეების მოთხოვნებს შორის იყო შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა, მთავრობის მხრიდან აღიარება, რომ ოფიციალური პირები იყვნენ დამნაშავეები, და შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან საჯარო ბოდიშის მოხდა. დემონსტრაცია დიდ ე.წ. „რეივში“ გადაიზარდა, რომელმაც საერთაშორისო მედიის ყურადღება მიიპყრო და რა დროსაც ერთ-ერთმა აქტივისტმა საკუთარი პროტესტი 9 აპრილის ტრაგედიის მემორიალზე ცეკვით გამოხატა. ამას არასაპარლამენტო ულტრანაციონალისტური ჯგუფების, განსაკუთრებით კი ქართული მარშის და ქართული იდეის მხრიდან კონტრ-აქციის ორგანიზება მოჰყვა. სიტუაცია სწრაფად გადაიზარდა ორ ჯგუფს შორის დაპირისპირების შესაძლო საფრთხეში, რაც საბოლოოდ პოლიციამ განმუხტა მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური დაპირისპირების რამდენიმე შემთხვევა მაინც დაფიქსირდა. საბოლოოდ, შინაგან საქმეთა მინისტრისგან ბოდიშის მოხდას და პირობას, რომ შემსუბუქდებოდა ნარკოპოლიტიკა, სიტუაციის დეესკალაცია მოჰყვა. ეს მოვლენები, მათ შორის პოლიციის ღამის რეიდი, ყველა ძირითადი ტელეარხის საშუალებით გადაიციემოდა პირდაპირ ეთერში (Demytrie 2018).

თბილისი პრაიდი - ამ ღონისძიებაზე კონფრონტაცია 2019 წლის 14 ივნისს დაიწყო, როდესაც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღოლმა მთავრობას მოუწოდა, თებერვალში ლგბტ+ თემის მიერ დაანონსებული პირველი თბილისი პრაიდის ღონისძიების გამართვისთვის ხელი შეეშალა. ეკლესიის განცხადებით, პრაიდის ნებისმიერი საჯარო დეკლარირება შეურაცხყოფდა ქართულ საზოგადოებას და ძალადობას გამოიწვევდა. საპასუხოდ, ლგბტ აქტივისტებმა და მათმა მხარდამჭერებმა საქართველოს მთავრობის კანცელარიის

შენობასთან მცირე დემონსტრაცია მოაწყვეს და პრაიდის მონაწილეებისთვის პოლიციისა და სახელმწიფოს მხრიდან უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვეს. რამდენიმე ულტრანაციონალისტური ჯგუფი და მათი ლიდერები ლგბტ აქტივისტების წინააღმდეგ და მათი მცირე დემონსტრაციის გასაპროტესტებლად გაემართნენ. კონტრ-აქციის მონაწილეებს შორის იყო რამდენიმე სასულიერო პირიც. ამ შემთხვევაშიც, ადგილზე ორი ერთდროულად მიმდინარე აქცია მოეწყო, რომელთა შორისაც პოლიცია იყო ჩამდგარი. მოვლენა აქტიურად გაშუქდა მედია საშუალებების მიერ (Civil.ge 2019a).

ღირსების მარში - ეს მოვლენა თბილისი პრაიდის გაგრძელება გახდა. “გავრილოვის ღამედ” წოდებული მოვლენების შემდეგ, ლგბტ თემმა პრაიდის აღნიშვნის გადადება გადაწყვიტა. თუმცა, თარიღი და მდებარეობა ულტრანაციონალისტური ჯგუფების მხრიდან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით, საიდუმლოდ რჩებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრაიდის ორგანიზატორები გააფრთხილა, რომ მოსალოდნელი საფრთხეებისგან მათ დაცვას ვერ შეძლებდნენ. ამის მიუხედავად, ლგბტ აქტივისტებმა მოახერხეს ღირსების მარშის ორგანიზება 2019 წლის 8 ივლისს. ულტრანაციონალისტურმა ჯგუფებმა ასევე დაგეგმეს კონტრ-აქცია, თუმცა ამ შემთხვევაში ორი აქციის განცალკევება მოხერხდა (Civil.ge 2019b).

და ჩვენ ვიცეკვეთ (ATWD) - ასობით ულტრანაციონალისტმა აქტივისტმა, მათმა ლიდერებმა და ეკლესიის წარმომადგენლებმა შვედურ-ქართული ფილმის და ჩვენ ვიცეკვეთ პრემიერა გააპროტესტეს. ფილმი მამაკაცების რომანს აღწერს, რომელიც საქართველოს ეროვნული ცეკვის ანსამბლში ვითარდება. ულტრანაციონალისტური ჯგუფები, რომლებიც თბილისის კინოდარბაზების წინ 8-9 ნოემბერს აწყობდნენ აქციებს, ხალხს პრემიერაზე დასასწრებად არ უშვებდნენ და კინოდარბაზში შეღწევისას ცდილობდნენ ფილმის ჩვენების ჩასაშლელად. ამ ორი დღის განმავლობაში, პოლიციას სხვადასხვა ღონისძიებების გატარება მოუხდა ფილმის სანახავად მისული მოქალაქეების დასაცავად. მოვლენა, რომელსაც რამდენიმე ძალადობრივი აქტი მოჰყვა, აქტიურად გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში მედიის საშუალებებით (Gray 2019).

ამ ოთხი შემთხვევის მედია გაშუქების შედეგად მოხდა 124 სიუჟეტის კოდირება. სიუჟეტებისა და ლაივ ჩართვების ერთმანეთისგან განცალკევება იმის მიხედვით მოხდა, თუ როდის ერთვებოდა საინფორმაციო გამოშვების წამყვანი. ცხრილი 2-ში შეჯამებულია მონაცემები პროგრამის დონეზე და მათი განაწილება ანალიზში წარმოდგენილი სამი მედია საშუალების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ არხები ერთმანეთისგან ამ მოვლენების შესახებ გაშუქებული სიუჟეტების რაოდენობით არ განსხვავდება, განსხვავებები განცხადებების რაოდენობაში აჩვენებს, რომ რუსთავი 2 გაცილებით ხისტი/სუბიექტური პოზიციით (350 განცხადება 35 სიუჟეტში) გამოირჩევა იმედთან (198 განცხადება 33 სიუჟეტში) და საზოგადოებრივ მაუწყებელთან (263 განცხადება 56 სიუჟეტში) შედარებით. ცხრილში ასევე წარმოდგენილია წუთების ის რაოდენობა, რაც ულტრანაციონალისტურ აქტორებს დაეთმო სხვა აქტორებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ულტრანაციონალისტური აქტორებისთვის დათმობილი დრო არ აჭარბებს სხვა აქტორებისთვის გამოყოფილ დროს, ეს რიცხვი მაინც მაღალია იმის გათვალისწინებით, რომ “ყველა სხვა აქტორი” მოიცავს აქტორების ფართო

სპექტრს. თუკი ამ კუთხით ცალკეულ არხებს შევხედავთ, დავინახავთ, რომ დროის თვალსაზრისით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყველაზე ადეკვატურად დააბალანსა აქტორების ამ ორი ჯგუფის გაშუქება, მაშინ როდესაც ულტრანაციონალისტური ჯგუფები ზედმეტად იყვნენ წარმოდგენილი როგორც რუსთავი 2-ის, ისე იმედის შემთხვევაში.

თუმცა, მხოლოდ საეთერო დროის განაწილებაზე დაკვირვებამ შესაძლოა შეცდომაში შეგვიყვანოს, რადგან იგი არ ასახავს დისკურსის არსს, მის სტრუქტურასა და მასში აქტორების როლს. მომდევნო სექციებში სოციალური ქსელის ანალიზის მეთოდოლოგიის გამოყენებით იდენტიფიცირებულია დისკურსის ღრმა სტრუქტურები - მათ შორის ურთიერთკავშირები თემატური კატეგორიებსა და აქტორებს შორის.

	სიუჟეტების რაოდენობა	სიუჟეტის ხანგრძლივობა (წუთები)	განცხადებების რაოდენობა	ულტრანაც. აქტორები წუთები	სხვა აქტორები წუთები
რუსთავი 2	35	198	350	23.5	39.5
იმედი	33	164.5	198	14	46
1 არხი	56	298.5	263	21	118.5
ჯამი	124	661	811	58.5	204


ცხრილი 2. საინფორმაციო გამოშვებებში მოვლენის შესახებ სიუჟეტის რაოდენობის, სიუჟეტის ხანგრძლივობის, კოდირებული განცხადებების რაოდენობის, ულტრანაციონალისტური ჯგუფებისთვის გამოყოფილი წუთების რაოდენობის (მათ შორის ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიების) და სხვა აქტორებისთვის გამოყოფილი წუთების რაოდენობის განაწილება სხვადასხვა მედია საშუალებებს შორის.

რამდენად არის წარმოდგენილი ულტრანაციონალისტური ჯგუფების დისკურსი პრაიმ ტიამის ახალი ამბების პროგრამებში?

წინამდებარე სექცია მიზნად ისახავს მედია დისკურსის თემატური სტრუქტურის ანალიზს საქართველოში ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობების გაშუქებისას. კერძოდ, განიხილავს, თუ რამდენად არის მედიაში ულტრანაციონალისტური აქტორების დისკურსი წარმოდგენილი და შესაძლებელია თუ არა სანინააღმდეგო/კონტრ-დისკურსის იდენტიფიცირება. ანალიზი ეფუძნება შიდა ხარისხობრივი ცენტრალურობის საზომს, რომელიც გამოყენებულია სურთი 2 და სურთი 3-ში ასახული ორ შრიანი დისკურსის ქსელების შესასწავლად. კვანძების პირველი ჯგუფი წარმოადგენს აქტორებს (შავი აღნიშვნა), რომლებიც აკეთებენ განცხადებებს, ხოლო კვანძების მეორე ჯგუფი წარმოადგენს თემატურ კატეგორიებს, რომელთაც აქტორები მოიხსენიებენ (წითელი აღნიშვნა). კვანძების ბომა და მათი სიახლოვე ცენტრთან აღნიშნავს დისკურსში თემატური კატეგორიის დომინანტურობას. ისრების სიგანე მიანიშნებს იმაზე, თუ რამდენად ინტენსიურად იყენებს აქტორი ამ კატეგორიას საკუთარ განცხადებებში.

სურათი 2-ში წარმოდგენილია სამივე მედია საშუალების ზოგადი დისკურსის ანალიზი. სურათიდან ნათელი ხდება, რომ დისკურსის ცენტრი ყალიბდება უარყოფითი მიმართებებით (ცენტრალურობის 38.63%-ით), რაც გულისხმობს სხვის მიმართ შეურაცხმყოფელი ენის გამოყენების შემთხვევებს, მაგალითად "გარყვნილის", "ცხოველის", "ნარკომანის" ან ჰომოფობიური ან ქსენოფობიური სიტყვების გამოყენებას. დისკურსის მეორე, ყველაზე დომინანტური ასპექტი ძალადობაზე (19.77%) და ძალადობის არარსებობაზე (18.6%) საუბარია. ძალადობაზე საუბრის მაგალითებია სხვადასხვა ტიპის ძალადობრივი ქმედებების ხსენება ან/და აღწერა (როგორც წარსულში, ისე მომავალში, ე.ი. ძალადობრივი აქტების მოლოდინი), ხაზგასმა, რომ ვინმე დაშავდა ან რაიმე დაზიანდა, ან/და ფიზიკური დაპირისპირების ფაქტი მოხდა ან ასეთის მოლოდინი არსებობს. ძალადობის არარსებობის მაგალითებია იმაზე ფოკუსირება, რომ კონკრეტული ფაქტი მოხდა მშვიდობისთვის ან მშვიდობიანად, რომ მშვიდობა ერთადერთი გზაა და რომ ძალადობა მიუღებელია (კატეგორიების დეტალური აღწერა იხილეთ ცხრილი 1-ში). თუ ერთი შეხედვით ძალადობის არარსებობის კატეგორია ძალადობის კატეგორიას აბალანსებს, წარმოდგენილი სურათი აჩვენებს, რომ როგორც წესი, ძალადობა, როგორც კატეგორია - რომელიც მოიცავს ძალადობის აქტის, ფიზიკური დაზიანების, ძალადობის ან ქონების დაზიანების სავარაუდო შემთხვევის ხსენებას - მედია დისკურსში დომინირებს იმდენად, რომ აღარ რჩება სხვა, არსებითი საკითხების განხილვის სივრცე. როგორც სურათი 2 აჩვენებს, თითქმის ყველა თემატური კატეგორია - რომელიც წინასწარ განისაზღვრა როგორც ულტრანაციონალისტური ჯგუფების ფეისბუქ გვერდების, ისე მათი დისკურსის კონტრ-არგუმენტების კვლევის საფუძველზე - თითქმის საერთოდ არ არის წარმოდგენილი დისკურსში და გრაფაში მარგინალურ პოზიციას იკავებს. სურათში მხოლოდ კატეგორია ლგბტ არის ასახული (8.91%), თუმცა ამ შემთხვევაშიც ულტრანაციონალისტური ნარატივის ფორმით.


თუ ლგბტ-ს სანინააღმდეგო კატეგორიას განვიხილავთ, შესაძლებელია ითქვას, რომ ის დისკურსში წარმოდგენილი საერთოდ არა არის და მისი ცენტრალურობის მაჩვენებელი 0.26%-ია. სურათი მიანიშნებს იმაზე, რომ ზოგადად, ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობების გაშუქებისას, ქართული მედია თითქმის ყოველთვის ყურადღებას ნეგატიურ ასპექტზე ამახვილებს და აქცენტს ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე აკეთებს. ერთი მხრივ, ის ფაქტი რომ ულტრანაციონალისტური თემატური კატეგორიები მედია დისკურსში არ არის წარმოდგენილი შესაძლოა პოზიტიურ მოვლენად ჩაითვალოს; ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ულტრანაციონალისტური ჯგუფები ვერ ახერხებენ მინსტრიმულ ტელემედია სივრცეში საკუთარი თემატური დღის წესრიგის წარმატებით გავრცელებას. თუმცა, უარყოფით ენაზე ხაზგასმას და ამ ჯგუფებსა და ძალადობრივ ქმედებებს შორის კავშირზე ყურადღების ასეთ გამახვილებას ამ აქტორების ხილვადობის გაზრდის და მათი, როგორც აქტორების მნიშვნელობის აქცენტირების პოტენციალი აქვს.



სურათი 2. უღტრანაციონალისტური ჯგუფების მედია გაშუქების თემატური დისკურსის ქსელი. ნითლად აღნიშნული კვანძები წარმოადგენენ თემატურ კატეგორიებს, შავად აღნიშნული კვანძები - დისკურსში მონაწილე აქტორებს. კვანძის ზომა და ცენტრთან სიახლოვე ასახავს თემატური კატეგორიის დომინანტურობას. კავშირების სიგანე ასახავს კონკრეტული თემატური კატეგორიის გამოყენების სიხშირეს მოცემული აქტორის მიერ.


მკვლევარები თანხმდებიან, რომ მედია საშუალებების გაშუქების გზები განსხვავდება ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორცაა ორგანიზაციული კულტურა, ყოველდღიური რუტინა და რაც ყველაზე მთავარია - ამ საშუალებების პოლიტიკური და კორპორატიული დღის წესრიგი (მაგ. McQuail 2010; Shoemaker and Reese 1996). როგორც ზემოთ აღინიშნა, ანალიზისთვის შერჩეული მედია საშუალებები თავიანთი დღის წესრიგით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. შესაბამისად, გვაქვს მიზეზი ვივარაუდოთ, რომ თუკი ამ ზოგად სურათს განვაცალკევებთ მედია საშუალებების მიხედვით, შევძლებთ აშკარა განსხვავებების იდენტიფიცირებას. თუმცა, თუ სურათი არ შეიცვალა, ეს კიდევ უფრო გაამყარებს გაანალიზებული დისკურსის თემატური კატეგორიების შესახებ ზოგად მიგნებებს.

სურათი 3-ში შედარებულია სამი მედია საშუალება. ერთი შეხედვით, აშკარაა, რომ კვლევაში განხილული სამივე მედიის დისკურსში ნეგატიურობა და ძალაობაზე საუბარი დომინირებს. ამავდროულად, სხვა თემატური კატეგორიები - როგორც ულტრანაციონალისტური, ისე მისი სანინააღმდეგო - მარგინალურ ადგილს იკავებს. ზოგადი სურათის მსგავსად, ლგბტ კატეგორია, სხვა კატეგორიებთან შედარებით, უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს სამივე მედიაში. თუმცა, ნეგატიურობის დონე განსხვავებულია - იმედსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს 31.09% და 34.81%-იანი ცენტრალურობის მაჩვენებელი აქვთ, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი რუსთავი 2-ის შემთხვევაში 46.62%-ს აღწევს. ყველაზე შესამჩნევი სხვაობა ძალადობის ცენტრალურობის მაჩვენებელში გვხვდება, რომელიც რუსთავი 2-ის შემთხვევაში მნიშვნელოვნად მაღალია (23.47%) საზოგადოებრივ მაუწყებელთან (20.74%) შედარებით. სხვაობა კიდევ უფრო დიდია ტელეკომპანია იმედთან შედარების შემთხვევაში (12.44%). საბოლოო ჯამში, ნეგატიურობისა და ძალადობაზე აქცენტირების დონეებში სხვაობის მიუხედავად, ზემოთ აღწერილი ზოგადი დისკურსული სურათი თანმიმდევრულია სამივე ტელეარხის შემთხვევაში.




1. რუსთავი 2

2. იმედი




3. პირველი არხი



სურათი 3. ულტრანაციონალისტური ჯგუფების მედია გაშუქების თემატური დისკურსის ქსელი მედია საშუალებების მიხედვით. 1. რუსთავი 2; 2. იმედი; 3. პირველი არხი


დისკურსიული სტრუქტურის უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რა კონტექსტში არის მოხსენიებული ესა თუ ის თემატური კატეგორია ყველაზე. ამის შესაძლებლობას კი მათი განცხადებების ტიპებთან დაკავშირება იძლევა. სურათი 4 წარმოადგენს თემატური კატეგორიებისა და გაკეთებული განცხადებების ტიპის ორშრიან ქსელს. თემატური კატეგორიები წარმოდგენილია ვარდისფერი მონიშვნით, ხოლო განცხადებების ტიპები - მწვანე მონიშვნით. კვანძების სიდიდე მიაჩვენებს შიდა ხარისხობრივ ცენტრალურობაზე, ე.ი. რამდენად დომინანტურია საკითხი დისკურსში. კავშირის სიგანე მიუთითებს კონკრეტული საკითხის განცხადების ტიპთან მიმართებით გამოყენების ინტენსიურობაზე. ცვლადები პოზიტიური და ნეგატიური დახასიათებები ამ ქსელის ნაწილი არ არის, ვინაიდან არ მომხდარა განცხადებების კოდირება მათთან მიმართებით. ზემოთ მოცემული მიგნებების გათვალისწინებით, ნაგატიურობის ჩამოშორების შემდეგ, ყველაზე დომინანტურ კატეგორიებად ძალადობა (34.96%) და ძალადობის არარსებობა (31.93%) რჩება. საინტერესოა, რომ როგორც სურათი 4 გვიჩვენებს, წარმოდგენილი დისკურსის ქსელის ძირითად ნაწილს ძალადობრივი ქმედებების ერთმანეთისთვის დაბრალება წარმოადგენს (დაბრალების გარე ხარისხობრივი ცენტრალურობის მაჩვენებელი 35.66%-ია). ამასთან, ფიქსირდება ძალადობის მუქარის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მუქარის გარე ხარისხობრივი ცენტრალურობა დაბალია და 3.49%-ს უტოლდება.

მეორე მხრივ, ძალადობის არარსებობის დაპირება, მოწოდება, მისი მოთხოვნა და დაგმობა განსაზღვრავს ძალადობის არარსებობის კატეგორიის მაღალ ცენტრალურობას. ძალადობაზე საუბრის გარდა, სხვა ყველა დანარჩენ თემატურ კატეგორიას შორის შედარებით მაღალი ცენტრალურობით ლგბტ კატეგორია გამოირჩევა. სურათი 4-ზე უფრო დეტალური დაკვირვება აჩვენებს, რომ ეს კატეგორია ძირითადად მოხსენიებულია პროტესტისა და დაბრალების კონტექსტში, რაც იმაზე მიაჩვენებს, რომ საკითხი უფრო დომინანტურია ულტრანაციონალისტური ნარატივის ფორმით. ლგბტ_საწინააღმდეგო კატეგორია მარგინალურად გამოიყურება და ხსენების დროსაც კი, მისი დაგმობის კონტექსტში მოხსენიება ხდება, მაშინ როდესაც ძალიან სუსტი კავშირია ამ კატეგორიასა და მხარდაჭერას შორის.



სურათი 4. თემატური კატეგორიები კონტექსტში. ვარდისფერი კვანძები წარმოადგენს თემატურ კატეგორიებს. მწვანე მონიშვნები წარმოადგენს განცხადების ტიპს, რომლითაც აქტორი თემატურ კატეგორიებს მოიხსენიებს. რაც უფრო დიდია თემატური კატეგორია, უფრო დომინანტურია ის დისკურსში. გრაფიკული გამოსახულება არ მოიცავს უარყოფით ან დადებით მახასიათებლებს, რადგან არ მომხდარა ცვლადი განცხადების ტიპის კოდირება ამ კატეგორიებთან მიმართებით.

და ბოლოს, თუ ძალადობის და ძალადობის არარსებობის კატეგორიებს ამოვიღებთ დისკურსული სურათიდან და შევხედავთ როგორ არის სხვა თემატური კატეგორიები სტრუქტურირებული აქტორებთან მიმართებაში, საინტერესო სურათს დავინახავთ. სურათი 5 აკავშირებს აქტორებს თემატურ კატეგორიებთან ორშრიანი ქსელის გამოყენებით. აქტორების კვანძების ზომა, რომელიც იასამნისფერი მონიშვნითა არის წარმოდგენილი აჩვენებს მათ დომინანტურობას დისკურსში. თემატურ კატეგორიებსა და აქტორებს - რომლებიც ქვედა მარცხენა და მარჯვენა კუთხეებში არიან მოთავსებულნი - იზოლირებულები ეწოდებათ, რადგან ისინი არ არიან დაკავშირებულნი არც ერთ სხვა კვანძთან და იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი დისკურსში. როგორც ვხედავთ, როდესაც საქმე ულტრანაციონალისტური ნარატივის არსებით კატეგორიებს ეხება, ულტრანაციონალისტი აქტივისტებისა და ლიდერების ხმა განსაკუთრებით ხმამაღლა ისმის მედიაში. როგორც მათი ყველაზე ძლიერი მომიჯნავე კავშირები აჩვენებს, ისინი განსაკუთრებულ აქცენტს ღებტ კატეგორიაზე აკეთებენ. საინტერესოა ისიც, რომ გრაფაში ულტრანაციონალისტი აქტივისტები და ლიდერები ეკლესიასთან ახლოს დგანან. იქვეა პატრიოტთა ალიანსიც. გრაფიკული გამოსახულების მიხედვით, იმ საკითხების ჩამონათვალი, რაზეც ეს აქტორები ყურადღებას ამახვილებენ თავიანთ დისკურსში, ერთმანეთს ემთხვევა და ღებტ კატეგორიასთან ერთად მოიცავს ისეთ კატეგორიებს, როგორცაა რელიგია, ისტორიის განდიდება, ეთნო ნაციონალიზმი, ნარკოპოლიტიკა, დასავლეთი როგორც საფრთხე და დასავლელი ულტრანაციონალისტების მხარდაჭერა.




სურათი 5. აქტორების განლაგება თემატური კატეგორიების გარშემო. აქტორები წარმოდგენილია იასამნისფერი კვანძებით. თემატური კატეგორიები მონიშნულია მწვანე ფერად. თემატური კატეგორიები მარცხენა მხარეს და აქტორები მარჯვენა მხარეს არ არიან ერთმანეთთან ურთიერთკავშირში და ამდენად, არიან იზოლირებულნი. აქტორის კვანძის სიდიდე მიანიშნებს მის ცენტრალურობაზე დისკურსში. ისრის სიგანე აღნიშნავს აქტორის განცხადებებში თემატური კატეგორიის გამოყენების ინტენსივობას.

სურათი 5-ის მარჯვენა მხარეს არის ევროპული საქართველო, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ლელო, რომლებიც პრო-დასავლურ პარტიებად თვითიდენტიფიცირდებიან და რუსეთთან კულტურული სიახლოვის კატეგორიის გარშემო არიან განლაგებულნი. თუკი შევხედავთ სურათი 4-ს, დავინახავთ, რომ ეს კატეგორია ნახსენებია ექსკლუზიურად დადანიშნულების კონტექსტში; ამდენად, ნაკლებად გასაკვირი ხდება კავშირი ზემოხსენებულ პარტიებსა და ამ თემატურ კატეგორიას შორის. სურათის ზედა ნაწილში ჩანს, რომ სამთავრობო აქტორების უმეტესობა - პრემიერ მინისტრი, პრეზიდენტი, შინაგან საქმეთა მინისტრი, მერი და ბერა ივანიშვილიც კი (ერთადერთი აქტორი, რომლის კოდირებაც მოხდა ინდივიდის სახით) - დაჯგუფებულია ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის საკითხის გარშემო. გრაფიკული გამოსახულების ცენტრი მნიშვნელოვან თავისებურებას ასახავს. პრო-დასავლურ პარტიებს, ულტრანაციონალისტ აქტივისტებს და ლიდერებს, ლიბრალური შეხედულებების მქონე აქტივისტებს, ისევე როგორც შურნალისტებს ერთი თემა აერთიანებთ - რუსული ოკუპაცია. ე.ი. კატეგორია რუსეთი ოკუპანტი ამ აქტორების დისკურსებს ერთმანეთთან აკავშირებს.


ვინ განსაზღვრავს დისკურსის ტონს?

წინა სექციებში წარმოდგენილი გრაფიკული გამოსახულებებიდან ნათელია, რომ ზოგიერთი აქტორი უფრო აქტიურია დღის წესრიგის განსაზღვრისას ვიდრე სხვა დანარჩენი. ეს იმას ნიშნავს, რომ თემატური კატეგორიები, რომელთაც ყველზე ხშირად ახსენებენ ეს აქტორები, დისკურსის ცენტრს წარმოადგენენ. მაგალითად, სურათი 2-ში ყველა მნიშვნელოვანი კატეგორია (ნეგატიური მიმართება, ძალადობა, ძალადობის არარსებობა და ლგბტ) კონკრეტულ აქტორებთან განსაკუთრებით ფართო კავშირზე მიაღწიეს: ერთის მხრივ, ულტრანაციონალისტი აქტივისტები, მათი ლიდერები და ეკლესია, ხოლო, მეორეს მხრივ, ჟურნალისტები, ლიბერალი აქტივისტები, პოლიცია და პრემიერ მინისტრი. სურათი 5-იც მსგავს ტრენდს ასახავს და აჩვენებს, რომ ნეგატიური მიმართებებისა და ძალადობის (ან მისი არარსებობის) ფაქტორების გაქრობით, ულტრანაციონალისტი აქტივისტების, მათი ლიდერებისა და ეკლესიის გარე ხარისხობრივი ცენტრალურობა ყველა სხვა დანარჩენ აქტორებს დომინირებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ როდესაც საქმე კონკრეტულ საკითხს ეხება, ამ აქტორების ხმა ყველა სხვა დანარჩენზე მეტად ისმის. ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქებისას მედია დისკურსში აქტორების განლაგების შესახებ უფრო ცხადი წარმოდგენის შესაქმნელად, ეს სექცია ყურადღებას ამახვილებს გარე ხარისხობრივი ცენტრალურობის საზომზე. ამ სექციის გრაფიკული გამოსახულებები ზუსტად ისევე უნდა იქნეს აღქმული, როგორც წინა სექციის გრაფიკული გამოსახულებები იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში კვანძის ზომა და მისი ცენტრთან სიახლოვე დისკურსში აქტორის დომინანტობას ასახავს.

სურათი 6-ში წარმოდგენილია სამივე ტელეარხის კუმულატიური დისკურსული ქსელი.



სურათი 6. აქტორთა ცენტრალურობა დისკურსში ულტრანაციონალისტური ჯგუფების მედია გაშუქების დროს. კვანძის ზომა და ცენტრთან სიახლოვე ასახავს დისკურსში აქტორის დომინანტურობას. კავშირების სიგანე ასახავს კონკრეტული თემატური კატეგორიის გამოყენების სიხშირეს მოცემული აქტორის მიერ.



სურათი 7. აქტორთა ცენტრალურობა დისკურსში ულტრანაციონალისტური ჯგუფების მედია გაშუქების დროს. პოლიტიკური პარტიები წარმოდგენილია როგორც ერთი, კუმულატიური აქტორი.

პირველივე შეხედვით ჩანს, რომ დისკურსის შუა ნაწილს ჟურნალისტი (კუმულატიურ აქტორი) იკავებს, რომლის გარე ხარისხობრივი ცენტრალურობის მაჩვენებელი 21.58%-ია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებების კოდირება მოხდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოთქმული იყო კონკრეტული პოზიცია. შესაბამისად, დისკურსის ქსელში ჟურნალისტების დომინანტურობა იმაზე მიაწინებს, რომ ჟურნალისტები სხვა აქტორებთან შედარებით, უფრო ხშირად აკეთებენ ისეთ განცხადებას, სადაც აფიქსირებენ საკუთარ პოზიციას, რაც მათი მხრიდან გაშუქებისას საკუთარი მოსაზრების ხშირად გამოხატვაზე მიაწინებს. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ყველაზე ფართო კავშირი აჩვენებს, რომ დისკურსში ნეგატიურობისა და ძალადობის თემის ცენტრალურობას, დიდწილად თვითონ ჟურნალისტები განსაზღვრავენ.


აქტორები, რომლებიც ჟურნალისტის შემდეგ ყველაზე მეტად დომინირებს დისკურსში, არიან ულტრანაციონალისტი აქტივისტები (13.7%) და მათი ლიდერები (13.70%), რომელთაც მოსდევს ეკლესია ცენტრალურობის 6.72%-იანი მაჩვენებლით. როგორც სურათში იკვეთება, ეს სამი აქტორი ასევე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დისკურსში ნეგატიურობის მაღალ დონეს. ისინიც ძალადობისა და ძალადობის არარსებობის კატეგორიებს იყენებენ, თუმცა ჟურნალისტებთან შედარებით ამას უფრო იშვიათად აკეთებენ. საინტერესოა, რომ არასაპარლამენტო ულტრანაციონალისტური ჯგუფებისა და ეკლესიის ხმა მედიაში აქტიურად ისმის; თუმცა, ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური პარტია პატრიოტთა ალიანსი ნაკლებად დომინირებს დისკურსს და გრაფაზე მარგინალურ პოზიციას იკავებს. კიდევ ერთი აქტორი, რომელიც დისკურსს დომინირებს ლიბერალი აქტივისტები არიან ცენტრალურობის 9.82%-იანი მაჩვენებლით. ამ ერთიან აქტორში მოიაზრებიან ლგბტ+ უფლებების დამცველი აქტივისტები, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისთვის მებრძოლი სოციალური მოძრაობები და აქტივისტები, რომლებიც 2018 წლის მაისში ღამის კლუბებზე რეიდს აპროტესტებდნენ. მედიაში წარმოდგენილი მათი დისკურსი ასევე ამახვილებს ყურადღებას უარყოფით მახასიათებლებზე და ძალადობაზე. ყველა სხვა აქტორი ძირითადად გრაფის კიდებშია განლაგებული ცენტრალურობის სხვადასხვა ხარისხით. ზემოთ ნახსენები აქტორების გრაფიკული გამოსახულება მნიშვნელოვნად არ იცვლება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველა პოლიტიკურ პარტიას გავაერთიანებთ, და სიზუსტისთვის შევამოწმებთ, შეცვლის თუ არა ეს აქტორების პოზიციას. სურათი 7-ის მიხედვით, ყველა პოლიტიკური პარტიის ერთიან აქტორად წარმოჩენის შემთხვევაშიც კი, აქტორების გადანაწილება ცენტრის გარშემო არ იცვლება; ჟურნალისტების შემდეგ, ულტრანაციონალისტი აქტივისტები და მათი ლიდერები ყველაზე დომინანტურ პოზიციას ინარჩუნებენ.

მედია საშუალებებში აქტორების დისკურსის განლაგების შედარებისას იკვეთება გარკვეული განსხვავებები, როგორც ეს სურათი 8-შია წარმოდგენილი. პირველი განსხვავება ცენტრში შეინიშნება. თუკი რუსთავი 2-ის შემთხვევაში ჟურნალისტი (22.83%) წარმოადგენს დისკურსის დომინანტ აქტორს, იმედსა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე ულტრანაციონალისტი აქტივისტები იკავებენ ამ პოზიციას ცენტრალურობის 21.24%-იანი და 11.94%-იანი მაჩვენებლით (შესაბამისად). ამასთან, სხვა აქტორებთან შედარებით, რუსთავი 2-ის ეთერში შედარებით დომინირებენ ულტრანაციონალისტი აქტორები; თუმცა დისკურსის აქტიური მონაწილეები ასევე


არიან ლიბერალი აქტივისტები და პრო-დასავლური პარტიები, ისეთები როგორცაა ევროპული საქართველო და რესპუბლიკური პარტია. ეს მაშინ, როდესაც ტვ იმედზე ერთ-ერთ ყველაზე დომინანტ აქტორად ეკლესია გვევლინება.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე დისკურსს ულტრანაციონალისტი აქტივისტები დომინირებენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ არხის დისკურსის ცენტრი აქტორების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სხვა არხებთან შედარებით, საზოგადოებრივ მაუწყებელზე პოზიციების უფრო ფართო სპექტრია წარმოდგენილი. ლიბერალი აქტივისტები სამივე არხზე შედარებით უფრო მეტად დომინირებენ, რაც გასაკვირი არაა, რადგან ისინი ყველა ზემოთ განხილულ მოვლენაში აქტიურად მონაწილეობდნენ. ასევე საინტერესოა, რომ მთავრობის წარმომადგენელი აქტორები სამივე არხზე მარგინალურ პოზიციებს იკავებენ. მედია კონფლიქტის წინა ხაზზე მყოფი აქტორებით უფრო მეტად ჩანს დაინტერესებული - ერთი მხრივ ულტრანაციონალისტური ჯგუფებით და ეკლესიით და მეორე მხრივ ლიბერალი აქტივისტებით, რაც კიდევ უფრო მეტად ამწვავებს კონფლიქტს.


1. რუსთავი 2



2. იმედი



3. პირველი არხი



სურათი 8. აქტორთა ცენტრალურობა დისკურსში ულტრანაციონალისტური ჯგუფების მედია გაშუქების დროს მედია საშუალებების მიხედვით. 1. რუსთავი 2; 2. იმედი; 3. პირველი არხი

ნაშრომში წარმოდგენილია მედია დისკურსის სტრუქტურა ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობების გარშემო. კვლევაში განხილულია ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური ჯგუფებთან დაკავშირებული ოთხი მოვლენის მედია გაშუქების ანალიზი: ე.წ. რეივ რევოლუცია, 2019 წლის თბილისი პრაიდი, ღირსების მარში და ფილმის და ჩვენ ვიცეკვეთ პრემიერა. ანალიზი ეფუძნება სამი მეინსტრიმული ტელეარხის - რუსთავი 2-ის, იმედისა და საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხის პრაიმ ტაიმის ახალი ამბების პროგრამების რაოდენობრივი კონტენტ ანალიზის შედეგად მოპოვებულ პირველად მონაცემებს.

რას გვეუბნება ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი? ზოგადად, ულტრანაციონალისტური ჯგუფები საქართველოში წარმატებით ვერ ატარებენ საკუთარ დისკურსიულ დღის წესრიგს ქვეყნის მეინსტრიმულ ტელემედიაში. მედიაში მარგინალურ პოზიციას იკავებს ამ ჯგუფების ნარატივის ძირითადი თემატური საკითხები, რომლებზედაც ისინი საკუთარ ფეისბუქ გვერდებზე აპელირებენ, გარდა ლგბტ თემთან დაკავშირებული საკითხებისა, რომელიც დისკურსში შედარებით მკაფიოდ არის გამოხატული, ძირითადად დადანაშაულებისა და პროტესტის კონტექსტში. კვლევაში განხილული მედიის დისკურსიულ სივრცეში ძირითად ადგილს ნეგატიური მიმართებები, შეურაცხყოფები, შეურაცხმყოფელი ენა ან ძალადობაზე საუბარი იკავებს. როგორც მონაცემები აჩვენებს, ულტრანაციონალისტური ჯგუფების მოქმედებებისა და მათთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქებისას მედია ძირითად ჩარჩოდ ნეგატიურობასა და ძალადობას იყენებს.

ასეთ მიდგომას გარკვეული ნორმატიული შედეგები აქვს. პირველ რიგში, ნორმატიული დემოკრატიული თეორიის მიხედვით, საჯარო სივრცეში ქვეყნის საზოგადოების ყველა ჯგუფი უნდა იყოს წარმოდგენილი. როგორც წარმოდგენილ კვლევაში აღინიშნა, ქართული საზოგადოება მოკლებული არ არის კონსერვატიულ და ნაციონალისტურ განწყობებს. შესაბამისად, ულტრანაციონალისტური ჯგუფების დისკურსს საზოგადოებაზე ზემოქმედების გარკვეული ბერკეტი გააჩნია. ტელეარხები ფრთხილობენ, რომ ამ ჯგუფებს არ შეეზღუდოთ გამოხატვის თავისუფლება და მათ საეთერო დროს უთმობენ. თუმცა, როგორც ანალიზიდან ირკვევა, ამ საკითხებზე სიღრმისეული განხილვები დისკურსის ნაწილი არ არის. ეს უკანასკნელი არ ნიშნავს ულტრანაციონალისტური დისკურსის გავრცელების ხელშეწყობას. პირიქით, მოცემული საკითხების საფუძვლიანი განხილვა, მათ შორის ულტრამემარჯვენე ნარატივების კონტრ-არგუმენტების წარმოდგენა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი და სასარგებლოც იყოს ულტრანაციონალისტური დღის წესრიგის პრობლემური ასპექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის. ამ პრობლემების მიჩუმათება ნეგატიურ კონტექსტში მათი დაფარვით ან ბრალეულობის ენის გამოყენებით, ან დისკურსის მთავარ კატეგორიად ძალადობის ჩვენებით, შესაძლოა ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს უფრო მნიშვნელოვან აქტორად წარმოჩენაში დაეხმაროს, რაც მათი უფრო მეტად ლეგიტიმაციის რისკს ზრდის.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი კვლევა საქართველოში ულტრანაციონალისტური ჯგუფების მედია გაშუქების სისტემური ანალიზის პირველი შემთხვევაა, ცხადია ნაშრომს თავისი შეზღუდვებიც აქვს. პირველ რიგში, ის მხოლოდ მედია საშალებების შეზღუდულ რაოდენობას განიხილავს. საქართველოს მედია გარემო მრავალფეროვანი და არასტაბილურია. სხვა ტიპის მედია საშუალებების - მათ შორის რეგიონული მედია საშუალებების - კვლევა ამ საკითხზე უფრო ფართო და ყოვლისმომცველ სურათს დაგვანახებს. ახალი ამბების გარდა, სხვა პროგრამების შესწავლაც, სავარაუდოდ, უფრო ინფორმაციული იქნება ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობების გარშემო მედია დისკურსის სტრუქტურის შესწავლის თვალსაზრისით. კვლევის კიდევ ერთი შეზღუდვა არის ის, რომ ის ერთმანეთისგან არ განასხვავებს კვლევაში განხილულ შემთხვევებს. არსებობს მიზეზები ვიფიქროთ, რომ დისკურსის თემატური სტრუქტურები შესწავლილ შემთხვევებში განსხვავებული იქნება.

ამ საკითხის შემდგომი კვლევისთვის ფართო არეალია. ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური ჯგუფების, მათი დისკურსისა და აქტივობების მედია გაშუქების კვლევის გაფართოების გარდა, მნიშვნელოვანია კითხვები დაისვას მიზეზ შედეგობრიობაზე. პასუხგაუცემელ კითხვებად რჩება ის, თუ რა განსაზღვრავს ამ ჯგუფების მედია გაშუქების სპეციფიკას, მედია გარემოს რა სტრუქტურული ფაქტორები ახდენენ გავლენას ამ კონფიგურაციაზე და რა როლს თამაშობს ჟურნალისტური პროფესიონალიზმი ამ ჯგუფების გაშუქებაში. ამასთან, საკვლევი საკითხია ის, თუ რა გავლენას ახდენს არსებული მედია გაშუქების სპეციფიკა ულტრანაციონალისტური ჯგუფების მობილიზაციის შესაძლებლობაზე და რაც მთავარია, ახდენს თუ არა გავლენას და რამდენად განსაზღვრავს ეს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში საზოგადოების დამოკიდებულებებს.

დასასრულს, ქართული მედიის საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს, თუ რას წერდა The Guardian 2019 წელს იოჰან გალტუნგთან - მკვლევართან, რომელმაც ახალი ამბების ჟურნალისტიკის პრინციპები დაადგინა - ინტერვიუ შემდეგ: “აკადემიკოსმა, რომელმაც პირველად განსაზღვრა ახალი ამბების ჟურნალისტიკის არსი, თქვა, რომ მედიამ მისი ნაშრომის არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა და გახდა ზედმეტად ნეგატიური, სენსაციური და დაპირისპირებული... მან თქვა, რომ მისი ნაშრომი გაფრთხილება უნდა ყოფილიყო და არა სახელმძღვანელო” (The Guardian, 2019).

შენიშვნები

[i] წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა თამთა გელაშვილის პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილ თეორიულ არგუმენტაციას, რომელიც ამავე პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა. უფრო ყოვლისმომცველი თეორიული განხილვისთვის, იხილეთ Gelashvili, T. 2020. The far-right honeytrap: Georgian media and the mediagenic far-right. Georgian Institute of Politics. Policy Paper #14. ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/the-far-right-honeytrap-georgian-media-and-the-mediagenic-far-right/> (წვდომის თარიღი: 31 მარტი, 2021).

[ii] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC). კავკასიის ბარომეტრი. ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/datasets/> (წვდომის თარიღი: 31 მარტი, 2021).

[iii] მეტი დეტალისთვის იხილეთ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://ge.usembassy.gov/2020-country-reports-on-human-rights-practices-georgia/> (წვდომის თარიღი: 31 მარტი, 2021).

[iv] 08.11.2019-ში ონლაინ არქივში მხოლოდ ერთი ახალი ამბების პროგრამა ქრონიკა (იმედი) არ იყო; შესაბამისად, შერჩევაში ეს პროგრამა ვერ მოხვდა.

[v] ნაციონალისტური დისკურსის შესასწავლად სოციალური ქსელის ანალიზის მეთოდების ეფექტურობის და ამ მიზნით მისი ემპირიული გამოყენების შესახებ დეტალური განხილვის გასაცნობად, იხილეთ Abzianidze (2020).

- Abzianidze, Nino. 2020. "Democratization, Nationalism and Media on the Path to Civil Conflict: Structure and Dynamics of Nationalist Appeals in Georgian Print Media -." Zurich Open Repository and Archive. University of Zurich. doi:<https://doi.org/10.5167/uzh-186209>.
- Atteveld, Wouter van. 2008. Semantic Network Analysis: Techniques for Extracting, Representing, and Querying Media Content [Dissertation]. Charlston, SC: BookSurge.
- Blumler, Jay G., and Michael Gurevitch. 1995. The Crisis of Public Communication. London: Routledge.
- Caiani, Manuela, Donatella della Porta, and Claudius Wagemann. 2012. Mobilizing on the Extreme Right: Germany, Italy, and the United States. Oxford: Oxford University Press.
- Carter, Elisabeth. 2017. "Party Ideology." In The Populist Radical Right A Reader, edited by Cas Mudde, 28–68. New York, NY: Routledge.
- Central Election Committee. 2020. "Results of the Parliamentary Elections 2020." Tbilisi. https://results.cec.gov.ge/#/en-us/election_43;path=election_43/dashboard.
- Civil.ge. 2019a. "Orthodox Church Issues Strongly Worded Warning against Tbilisi Pride," June 14. <https://civil.ge/archives/308374>.
- . 2019b. "თბილისი პრაიდი 8 ივლისს ღირსების მარშს გამართავს (განახლება: მარში გაუქმდა)," July 8. <https://civil.ge/ka/archives/312274>.
- . 2020. "Georgian March Turns into a Party," October 22. <https://civil.ge/ka/archives/376872>.
- Demytrie, Rayhan. 2018. "Georgia's Rave Revolution." BBC, July 30. <https://www.bbc.com/news/av/world-europe-44999599>.
- Eatwell, Robert. 2000. "The Rebirth of the Extreme Right in Western Europe." Parliamentary Affairs 53 (3): 407–25.
- Ellinas, Antois A. 2018. "Media and the Radical Right." In The Oxford Handbook of the Radical Right, edited by Jens Rydgren, 269–85. Oxford: Oxford University Press.
- Entman, Robert M. 1993. "Framing: Towards Clarification of a Fractured Paradigm." Journal of Communication 43 (4): 51–58.
- Gelashvili, Tamta. 2019a. "Georgian Pride World Wide: Extreme Right Mobilization in Georgia, 2014-2018." University of Oslo. <http://urn.nb.no/URN:NBN:no-72862>.
- . 2019b. "Political Opportunities for the Extreme Right in Georgia." Policy Brief #20. Georgian Institute of Politics. Tbilisi. <http://gip.ge/political-opportunities-for-the-extreme-right-in-georgia/>.
- . 2020. "The Far-Right Honeytrap: Georgian Media and the Mediagenic Far-Right." Policy Paper #14. Georgian Institute of Politics. Tbilisi. <http://gip.ge/the-far-right-honeytrap-georgian-media-and-the-mediagenic-far-right/>.
- Giugni, Marco, Ruud Koopmans, Florence Passy, and Paul Statham. 2005. "Institutional and Discursive Opportunities for Extreme-Right Mobilization in Five Countries." Mobilization: An International Journal 10 (1): 145–62.
- Gozalishvili, Nino. 2020. "The Veiled Influence of Illiberal Groups on Georgian Politics." Tbilisi: Georgian Institute of Politics. <http://gip.ge/the-veiled-influence-of-illiberal-groups-on-georgian-politics/>.
- Gray, Carmen. 2019. "When a Film Shows Gay Romance in Georgia, Going to It Is a Risk." The New York Times, December 6. <https://www.nytimes.com/2019/12/06/movies/and-then-we-danced-georgia-protests.html>.
- Iyengar, Shanto. 1991. Is Anyone Responsible? How Television Frames Political Issues. Chicago, IL: University of Chicago Press.
- Jakubowicz, K, and M Sükösd. 2008. "Twelve Concepts Regarding Media System Evolution and Democratization in Post-Communist Societies." In Finding the Right Place on the Map Central and European Media Change in Global Perspective, edited by K Jakubowicz and M Sükösd. Chicago: Intellect LTD, University of Chicago Press.

Jgharkava, Irakli. 2017. "Anti-Migrant Rhetoric in Georgia: Do Far-Right Groups Threaten Georgia's pro-European Discourse?" Commentary #16. Georgian Institute of Politics. Tbilisi.

Kandelaki, Salome. 2021. "Euroscepticism and Religion on the Agenda of the Georgian Ultranationalists." Working Paper #13. Georgian Institute of Politics. Tbilisi. <https://bit.ly/3fQ2aRf>.

Kavtaradze, Lasha. 2019. "Coverage of Issues Related to Violent Extremism Manual for Media." Tbilisi: Georgian Center for Strategy and Development. [http://gcsd.org.ge/storage/files/doc/Manual for Media.pdf](http://gcsd.org.ge/storage/files/doc/Manual%20for%20Media.pdf).

Koopmans, Ruud. 2004. "Movements and Media: Selection Process and Evolutionary Dynamics in the Public Sphere." *Theory and Society* 33 (3/4): 367–91.

Mansfield, Edward D, and Jack Snyder. 1995. "Democratization and the Danger of War." *International Security* 20 (1): 5–38.

McCombs, Maxwell E. 1981. "The Agenda-Setting Approach." In *Handbook of Political Communication*, edited by Dan D. Nimmo and Keith R. Sanders. Beverly Hills, CA: Sage.

McCombs, Maxwell E., and Donald L. Shaw. 1972. "The Agenda-Setting Function of Mass-Media." *Public Opinion Quarterly* 36 (2): 176–87.

McQuail, Denis. 2010. *McQuail's Mass Communication Theory*. 6th ed. London: SAGE Publications.

Mudde, Cas. 1995. "Right-Wing Extremism Analyzed: A Comparative Analysis of the Three Alleged Right-Wing Extremist Parties (NPD, NDP, CP'86)." *European Journal of Political Research* 27: 203–24.

Pew Research Center. 2018. "Eastern and Western Europeans Differ on Importance of Religion, Views of Minorities, and Key Social Issues." Washington DC. <https://pewrsr.ch/3w3QEaB>.

Sartania, Ketevan, and Aleksandre Tsurkava. 2019. "Ultrnationalist Narrative of Online Groups in Georgia." Open Society Georgia Foundation. Tbilisi. <https://osgf.ge/en/publication/ultranationalist-narrative-of-online-groups-in-georgia/>.

Shoemaker, Pamela J., and Stephen D. Reese. 1996. *Mediating the Message: Theories of Influences on Mass Media Content*. 2nd ed. Longman: Longman Publishers USA.

Snyder, Jack. 2000. *From Voting to Violence*. New York: W.W. Norton and Company.

Stephan, Adriana. 2020. "How the Far-Right in Georgia Might Impact the Political Agenda This October?" Policy Memo #37. Georgian Institute of Politics. Tbilisi. <http://gip.ge/how-the-far-right-in-georgia-might-impact-the-political-agenda-this-october/>.

Sükösd, Miklós. 1997. "Media and Democratic Transition in Hungary." *Oxford International Review* VIII (3): 11–21.

———. 2000. "Democratic Transformation and the Mass Media: From Stalinism to Democratic Consolidation in Hungary." In *Democracy and the Media: A Comparative Perspective*, edited by Richard Gunther and Anthony Moughan, 122–64. Cambridge: Cambridge University Press.

Voltmer, Katrin. 2013. *The Media in Transitional Democracies*. Cambridge: Polity Press.

Wasserman, Stanley, and Katherine Faust. 2009. *Social Network Analysis Methods and Applications*. 19th ed. Cambridge: Cambridge University Press.

Weaver, David H. 2007. "Thoughts on Agenda Setting, Framing and Priming." *Journal of Communication* 57 (1): 142–47.

დანართი

1. აქტორების ჩამონათვალი

კოდი	აქტორის სახელი	კომენტარი
1	მთავრობა	
1.1	პრემიერ მინისტრი	პრემიერ მინისტრი
1.2	პრეზიდენტი	
1.3	მინისტრები	ყველა მინისტრი შინაგან საქმეთა მინისტრის გარდა
1.4	შსს	შინაგან საქმეთა მინისტრი/სამინისტრო
1.5	პარლამენტის წევრები	პარლამენტის წევრები (ქართლი ოცნების წევრების კოდირება ძირითადად ამ კატეგორიაში მოხდა)
1.6	მერი	თბილისის მერი
1.7	პარლამენტის თავმჯდომარე	
1.8	ბერა	ბერა ივანიშვილი, ბიძინა ივანიშვილის (ქართული ოცნების ლიდერი) შვილი
2	ოპოზიცია	ერთიანი კატეგორია - კოდირება მოხდა იმ შემთხვევაში, როდესაც ასე იქნა მოხსენიებული
3	ომბუდსმენი	
4.1	ენმ	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
4.2	ლელო	
4.3	გირჩი	
4.4	ევროპული საქართველო	
4.5	პატრიოტთა ალიანსი	
4.6	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	
4.7	რესპუბლიკური პარტია	
4.8	სტრატეგია აღმაშენებელი	
5	ეკლესია	ეკლესიის კოდირება მოხდა ყველა სასულიერო პირის, ასევე ინსტიტუტის შემთხვევაში
6	ინტელექტუალები	მოიცავს ექსპერტებს, აკადემიური და კულტურული წრის ელიტებს, მაგალითად მწერლებს, არტისტებს, მომღერლებს, ა.შ.
7	ჟურნალისტი	კოდირება მოხდა, როგორც ზოგადი კატეგორია ნებისმიერი ჟურნალისტისთვის
7.1	მედია	კოდირება მოხდა, როდესაც ასეთად იქნა მოხსენიებული
8	NGOs	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები
9	პოლიცია	
11.1	აქტივისტები	ლიბერალი აქტივისტების ჯგუფი, მათ შორის ლგბტ უფლებებისა და ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის დამცველები
11.2	ულტრანაციონალისტი აქტივისტები	ულტრანაციონალისტი აქტივისტი - ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიერ ორგანიზებული (კონტრ-) აქციის ნებისმიერი მონაწილე
11.3	ულტრანაციონალისტი ლიდერები	არასაპარლამენტო ულტრანაციონალისტი ჯგუფების ლიდერები
12	ჩვეულებრივი [რიგითი] საზოგადოება	მაგალითად მოქალაქეები ქუჩებში, კინოს პრემიერაზე, ა.შ.
13	რუსეთი	
14	დასავლეთი	
15	აშშ	
16	არაიდენტიფიცირებული	კოდირების დროს ეს კატეგორია გამოყენებული იყო მაშინ, როდესაც აქტორი არ იყო იდენტიფიცირებული (მაგალითად, განცხადებას არ ყავდა კონკრეტული ადრესატი). თმცა, ეს ანალიზის ნაწილი არ იყო.

დანართი

2. თემატური კატეგორიების შიდა ხარისხობრივი ცენტრალურობა (სურათი 2 და 3 ამ ცხრილში წარმოდგენილ რიცხვებს ეფუძნება)

თემატური კატეგორიები	ზოგადი	რუსთავი 2	იმედი	პირველი არხი
ავტორიტარიზმი_საპირისპირო	0.13			0.37
ეთნონაციონალიზმი	2.71	1.61	3.11	3.7
ეთნონაციონალიზმი_საპირისპირო	0.13			0.37
ისტორიის განდიდება	0.52		1.04	0.74
ლგბტ	8.91	6.75	9.84	10.74
ლგბტ_საპირისპირო	0.26	0.32	0.52	
მიგრანტები_საპირისპირო	0.13	0.32		
ნარკოპოლიტიკა	1.94	0.64	3.63	2.22
ნარკოპოლიტიკის_საპირისპირო	2.33	1.93	5.18	0.74
ნეგატიური მიმართება	38.63	46.62	31.09	34.81
არა_ძალადობა	18.6	11.58	26.42	21.11
პოზიტიური მიმართება	3.1	2.89	4.15	2.59
რელიგია	0.52		0.52	1.11
რელიგია_საპირისპირო	0.13	0.32		
რუსეთთან კულტურული სიახლოვე	0.78	1.93		
რუსეთი ოკუპანტი	0.78	0.64	1.04	0.74
რუსეთის ოკუპანტი_საპირისპირო	0.13	0.32		
დასავლელი ულტრანაციონალისტების მხარდაჭერა	0.13	0.32		
ძალადობა	19.77	23.47	12.44	20.74
დასავლეთი საფრთხე	0.39	0.32	1.04	

დანართი

3. აქტორების გარე ხარისხობრივი ცენტრალურობა
(სურათი 6 და 8 ცხრილში წარმოდგენილ რიცხვებს ეფუძნება)

კოდი	ID	ზოგადი	რუსთავი 2	იმედი	პირველი არხი
1	მთავრობა	3.1	2.25	4.15	7.46
1.1	პრემიერ მინისტრი	3.75	1.93	8.29	4.48
1.2	პრეზიდენტი	1.16	1.29	1.04	4.48
1.3	მინისტრები	0.13			1.49
1.4	შსს	1.29	1.61	2.59	
1.5	პარლამენტის წევრები	0.9			5.97
1.6	მერი	0.78	0.32	1.04	2.99
1.8	ბერა	0.13	4.18	0.52	
2	ოპოზიცია	0.26	0.32	0.52	
3	ომბუდსმენი	1.68	2.57		2.99
4.1	ენმ	2.84	4.82	2.07	2.99
4.2	ლელო	0.26	0.64		
4.3	გირჩი	0.26	0.64		
4.4	ევროპული საქართველო	4.26	7.07	0.52	5.97
4.5	პატრიოტთა ალიანსი	1.03	0.32	0.52	5.97
4.6	ეროვნულ დემოკრატიული პარტია	0.26	0.64		
4.7	რესპუბლიკური პარტია	2.2	5.14		1.49
4.8	სტრატეგია აღმაშენებელი	0.39	0.96		
5	ეკლესია	6.72	4.18	12.95	5.97
6	ინტელექტუალები	0.78	1.61	0.52	
7	ჟურნალისტი	21.58	22.83	19.69	5.97
8	NGOs	0.13	0.32		
9	პოლიცია	4.39	2.57	4.15	4.48
11.1	აქტივისტები	9.82	12.86	9.33	5.97
11.2	ულტრანაციონალისტი აქტივისტები	13.7	9.32	21.24	11.94
11.3	ულტრანაციონალისტი ლიდერები	15.63	13.5	10.36	10.45
12	რიგითი მოქალაქეები	2.58	2.25	0.52	8.96